# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე | სამშაბათი. მარტი 16 1920 წ. № 57 | ფასი 5 მან.



## გაზეთ „საქართველო“-ს გასასყიდად

ქუჩებში გვესაჭიროება მორბედი

## ბავშვები

იკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ კონტორაში.

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნესტორ და ივლიტა შვილებით დავითით და თამარით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის 1 ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის

კონსტანტინე (კოლია) ნესტორის ძის **მერკვილაძის**

გარდაცვალებას 12 მარტს 1920 წ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 16 მარტს დილის ათ საათზე წყნეთის ქუჩიდან № 12 ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, სადაც წირვის შემდეგ მოხდება დაკრძალვა. 2959 2—2

---

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე იესსე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, დედა ნინო ივანეს ასული, მამა კონსტანტინე იოსების ძე, ძმა ბიქტორ კონსტანტინეს ძე, რძლები ნაცეძლა ნიკოლოზის ასული და პრასკოვია პეტრეს ასული სვიმონიშვილები, დედამთილი ანასტასია ალექსანდრეს ასული და მაზლი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილები, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ რომ მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

**ელენე კონსტანტინეს სულის მარადამშვ ლ ს**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი 17 მარტს, ოთხშაბათს ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. პანაშვიდი 12 საათზედ მოხდება. 2972—2—1

---

ღრმად დამწუხრებული შვილები: კნეინა ქეთევან ბესარიონის ასული ანდრონიკაშვილისა ქმარ შვილით—ბარბარე ბესარიონის ასული ჯონიშვილისა ქმრით და თ-დი ადამ ბესარიონის-ძე ჩერქეზიშვილი ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ სამშაბათს 16 მარტს ამ წელს იქნება გადახდილი ორმოცი დღის პანაშვიდი სულის მოსახსენებლად

ეკატერინე ანდრიას ასულის კნეინა

**ჩერქეზიშვილისა**

წმინდა ნინოს ეკლის-ში ნაშუადღევის 1 საათზე. 2973 1—1

---

## სახელმწიფო თეატრი

**სამშაბათს 16 მარტს**

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

მეორედ

## სინათლე

I ნაწ. მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი 7 ნახ. საათზე. 47 2—2

---

**ამ თვის 7-ი მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი**

## „სასოფლო გაზეთი“

**„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:**
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

**„სასოფლო გაზეთში“** მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს **ნიკო კიშაური.**

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. 4 3—13

---

## სავაჭრო „ძმური საქმე“ სახლი

**სასახლის ქუჩა № 4 ტელ. 19—09.**

აცხადებს მყიდველთა საყურადღებოთ, რომ მას აქვს მიღებული დიდძალი ჩეშუთი ყოველგვარი ფართლეულის, სტოლსაფრები, ზეწრები, ძაფები, ემალის ჭურჭლეულობა, ბოქლომები, ჯიბის დანები, სამართებლები, ქლიბები ყველა ზომის და ყოველგვარი მანქანების სარტყლები, ფეხსაცმლები ქალის და კაცის, ფეხსაცმლის ლაქები, შეკერილი ქალების კაბები და კოსტიუმები და ბევრი სხვა და სხვა საქონელი. ყველა საქონლები ინგლისური ნაწარმოებია, გაყიდვა მხოლოდ პარტიობითაა. ფასები კონკურენციის გარეშეა.

**კონტორა ღიაა დილის 10-3 საათამდის და საღამოს 6—9 საათამდის**

სავაჭრო სახლი „ძმური საქმის“ გამგეობა
45—5—3

---

## ქართული კლუბი

**ხუთშაბათს 18 მარტს**

ქართული დრამატიული სტუდიის წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

## იმერიმის ოჯახი

დრამა 3 მოქ. გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ვ. ანჯაფარიძე, ბ. გამრეკელი, ქიქოძე ალისა, ქიქოძე ან., ციმაკურიძე ელენე, ჩარკვიანი და ეპიტაშვილი.

ბ-ნნი გელოვანი მ., ვასაძე, ფრონისპირელი და მ. ჭიაურელი.

რეჟისორი მ. ქორელი

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 49 3—1

---

**ბორისელ. თარხან მოურავ ს პროფესიონალ სკოლის**

## მოწაფეთა საყურადღებოდ

სწავლა განახლდება 20 მარტიდან ხაშურსა და ახალქალაქის ელ. თარხან მოურავის პროფესიონალ სკოლებში. ბინა ექნებათ სასწავლებლებში, ხოლო ჭამა-სმა თავიანთი.

ელენე თარხან მოურავი.

---



## ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 21,)

ყოველ დღე დილის 1—5 საათამდე.

სადილები

დღეს სამშაბათს 16 მარტს

## ქართული საღამო

სამშაბათობით და პარასკევობით საღამო პრემიერები.

---

## ქართული კლუბი

ოთხშაბათს 17 მარტს რუსული დრამის „ცარტის“ მიერ წარმოდგენილ იქნება

## პედაგოგები

3 მოქმედებად.

მონაწილეობს მთელი დასი.

რეჟისორი ა. ტუგანოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 50 2—1

---

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

ავადმყოფის მიღება 12 1 ნახ. ს. მიდათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

---

მედიცინის დოქტორი

## გ. ა. ასათიანი

პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს სპეციალურად ვენერიულის, სიფილისის, კანის ავადმყოფებისას, დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე მიხეილის პრ. № 7 გორონცოვის ძეგლთან. შესავალი ეკლესიის ეზოს კუთხიდან.

---

## დაკარგე

მე ივანე გუჯუშვილმა პირადი მოწმობა ადებული ახალ სენაკში. მპოვნელსა ვსთხოვ მოიტანოს აბაშაში ონიფანტე გუჯუშვილთან ან თბილისში მე-4-ე უბნის კომისრის თანაშემწე აპოლონ გუჯუშვილთან, რისთვისაც, მპოვნელი მიიღებს ჯილდოს 500 მან.
2972 1—1

---

## ნათელი და მშრალი

**შემთხვევით** იყიდება საუკეთესოთ მოწყობილი

## სასადილო

რომელსაც აქვს განსაკუთრებით **ღვინის დიდი საწყობი** საკუთარი ჩასასვლელით.

მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 38
2971 3—1


## ბათუმს გვართმევენ?

ამ ორი დღის წინ, ჩვენ სრული კმაყოფილებით გავეცანით აზერბაიჯანის მთავრობასთან მყოფ ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლის ბ-ნ გრ. ალშიბაიას ცნობას, რომ ბათუმის საკითხში, ორივე რესპუბლიკას შორის ადვილი შესაძლებელია მოინახოს საერთო ენა ორთავე რესპუბლიკისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებისათვის“.

ამავე ხასიათის და შინაარსის ცნობა გამოაქვეყნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებამ და ამით, კიდევ მეტი დამარწმუნებელი იერი მისცა ბ-ნ გ. ალშიბაიას განცხადებას.

ასეთივე ხასიათის დამარწმუნებელი ცნობა მივიღეთ ჩვენ, ავტორიტეტულ წყაროებიდან რომ სომხეთის მთავრობაც სცნობს საქართველოს უდაო უფლებებს და სათანადო დეკლარაციასაც გამოაქვეყნებს.

ამ შეთანხმებას ორივე მეზობელ რესპუბლიკათა შორის, აქვს დიდი მორალური მნიშვნელობა იმ მხრით, რომ ჩვენმა მეზობელმა რესპუბლიკამ მოგვცა საბუთი ვიფიქროთ, ჩვენი მოკავშირე დაადგა სწორ საფუძველს და ბათუმის საკითხი, არამც თუ არ გაამწვავებს ჩვენს დამოკიდებულებათ, არამედ საერთო ძალებით შეუდგებოდით მისთვის ბრძოლას.

ყველა ამის შემდეგ და, მერეთვე იმ მოლაპარაკების შედეგში, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ბათუმში მყოფ ინგლისის სარდლობასთან, ჩვენ საბუთი მოგვეცა გვეფიქრა რომ ბათუმის საკითხი წესიერ მიმდინარეობას მიიღებდა და საქართველოს უდაო უფლებანი, როგორც ქალაქზედ, თავის პორტით, აგრეთვე მთელს ოლქზედ, აღიარებული იქნებოდენ, სადაც ჯერ არს.

მაგრამ როგორია ჩვენი განცვიფრება, როდესაც უკანასკნელ საათში, „აზერტაგ“ ისაგან მიღებულმა დეპეშამ გვამცნო, რომ აზერბაიჯანის მთავრობას ეუწყა, რომ ბათუმის პორტი გამოცხადებულია „პორტო-ფრანკოთ“ —თავისუფალ პორტათ ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ და ბათუმის დაცვას ინგლის საფრანგეთ-იტალიის ბატალიონები შეუდგებიან.

რას ნიშნავს ეს?

ბათუმი გამოცხადებული იქნება „თავისუფალ“ პორტათ, მაგრამ ხომ ყველასათვის ნათელია, თუ რას ნიშნავს ესეთი „თავისუფლება?“

და რა პირობებში ხდება ასეთი გარდაწყვეტილება? მაშინ, როდესაც ბათუმის მკვიდრმა მოსახლეობამ თავისუფალ არჩევნებში პირდაპირ და კატეგორიულად განაცხადა თავისი ნება საქართველოსთან შეერთებისათვის.

მაშინ, როდესაც საქართველოს მეზობლებმაც იცნეს მისი უდაო უფლებანი? აი ასეთ პირობებში, „უმაღლესი სამართლიანობის“ პრინციპების დამცველი ანტანტის ხელმძღვანელი წრეები, არამც თუ მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის უცნობად და დაუკითხავათ, სწყვეტენ ისეთ საკითხს, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველ ერისთვის სასიცოცხლო საკითხს შეადგენს?

რით ხელმძღვანელობდენ ანტანტის წრეები, თუ ეს ცნობა სიმართლეს შეადგენს და გარდაწყვეტილება ბათუმის საკითხის შესახებ მართლა მათგან მომდინარეობს?

ბათუმი მთელი ის ხანი, რაც იგი ინგლისის ოკუპაციის ქვეშ იმყოფება, ანტანტისათვის მართლა რომ თავისუფალი პორტი იყო და ახალი გადაწყვეტილება მხოლოდ ფაქტიური მდგომარეობის დამტკიცებაა; მაგრამ როგორი მდგომარეობა შეიქნა ამ თავისუფალ პორტში?—ბათომი გახდა სპეკულიაციის, ანარქიის და ყოველივე პოროტ-მოქმედების ასპარეზად, სადაც მშვიდობიანი და მშრომელი ელემენტები ამ სპეკულიაციის და ძალ-მომრეობის უღელ-ქვეშ ჰკმინავენ და ვედრებით მოითხოვენ საქართველოსთან დაახლოებას.

ნუ თუ ეს მდგომარეობა სურს ანტანტს რომ სამუდამოთ დაამკვიდროს.

არა! ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ!

ჩვენი მთავრობა მოვალეა სათანადო ნაბიჯები გადადგას და თუ ეს გარდაწყვეტილება სინამდვილეს შეადგენს ენერგიული პროტესტით გამოვიდეს დაუყონებლივ ევროპის და მთელი ქვეყნიერების წინაშე!

## ბათუმი—პორტო-ფრანკად

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ მარტის 11-ს მიიღო ცნობა ანტანტის მიერ ბათუმის პორტო-ფრანკოდ აღიარების შესახებ. („აზერტაგ“).

ამის შესახებ ბაქოს გაზეთი „ისკრა“ სწერს:

„მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ ბათომი ანტანტამ იცნო პორტო-ფრანკო—„თავისუფალ“ პორტათ მიუხედავათ უკანასკნელ საქალაქო არჩევნებში დამტკიცებულ მცხოვრებლების სურვილისა, რომ ბათომი შეერთებოდა საქართველოს, მიუხედავათ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის განცხადებისა, რომ ის დღეს ბუნებრივი პატრონია ბათომისა, რომ ამიერ-კავკასია პირველ ყოვლისა დაინტერესებულია ბათომის ბედით რომ ბათომის საკითხი უნდა გადაწყვიტოს ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ—„მოკავშირენი“ ხელმეორეთ გვახვევენ თავზე თავიანთ ნებისყოფას.

ბათომი „თავისუფალ პორტათ“ არის გამოცხადებული, მაგრამ ყველასთვის აშკარაა, რომ ეს „თავისუფლება“ ბათომისა ნიშნავს მის ფაქტიურ კაბალას. ბათომიდან „მოკავშირეები“ უკარნახებენ მთელ ამიერ-კავკასიას თავის ნებისყოფას.

ბათომი კიდევ დარჩება სპეკულიაციის კერათ. პირიქით „თავისუფალი“ ანტანტის სპეკულიანტები ჩვენ სპეკულიანტებთან ერთად ჩამოაბამენ მარყუჟს სუსტ და გაუმაგრებელ ამიერ-კავკასიას, ფაქტიურათ ბათომი ყოველ დროს ანტანტისთვის „თავისუფალი“ იყო და მისი ცნობა არის მხოლოდ დამტკიცება ძველი მდგომარეობისა.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია არასდროს არ უნდა შეურიგდეს ამას. დემოკრატიამ უნდა მოითხოვოს, რომ მას თვითონ ჰქონდეს თავის უფლებაში თვისი ფანჯარა ევროპაში“.

—

(კავკ. მუდმ. მოკავშ. მისიების ცნობა)

გაზ. „stamdoul„-ის ცნობით, მიუხედავად საწინააღმდეგო ხმებისა, ოფიციალურად, ბათომის ევაკუაციის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. ბათომის მომავლის საკითხს მოკავშირე სახელმწიფონი გადასწყვეტენ; ახლა კი ბათომის საკითხი წინასწარ განსჯის საგანია.

## ინტრიგები ბათუმის გარშემო და საქართველოს წინააღმდეგ

ქვემოდ, მკითხველი გაეცნობა კორესპონდენციას, ბათომის და საქართველოს შესახებ, რომელიც დაბეჭდილია ლონდონის გაზეთ „morning post“-ში და რომელიც ჩვენ უცვლელად მოგვყავს.

ეს წერილი, სავსე ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებებით და აშკარა ინსინუაციით საქართველოს წინააღმდეგ და ალსავსეა ბათომში მომქმედ ინგლისელთა სამხედრო სარდლობის მოღვაწეობის ქებით დიდებით, ტიპიური მაგალითია იმ პროვოკაციული აგიტაციისა, რომელსაც ეწევიან ევროპაში საქართველოს მტრები.

ჩვენ ერთხელ კიდეც გვქონდა შემთხვევა, შევხებოდეთ ამავე ხასიათის წერილს, დაბეჭდილს ამავე გაზეთში, რომელიც დიდი დამცველია დენიკინისა რუსეთში და რომელიც დღესაც გაერთიანებულ, დიდ რუსეთის ლოზუნგებს აცხადებს და სასტიკ კომპანიას ეწევა ლლოიდ-ჯორჯის პოლიტიკის წინააღმდეგ რუსეთის საკითხში.

დენიკინის თანამოაზრე წრეები, რასაკვირველია ფართოთ სარგებლობენ ამ გაზეთით და ამიტომ, ჩვენთვის მაინც და მაინც გასაკვირი არ უნდა იყოს ის ინფორმაცია, რომელიც ასეთი უპიფარი სიცრუით მოუწოდებია ხსენებულ გაზეთის ბათომელ კორესპონდენტს (რომელი ტომისაც არ უნდა იყოს იგი), ბათომის და საქართველოს შესახებ და, რომელსაც ყოველი საქართველოში მცხოვრები, დიდი განცვიფრებით წაიკითხავს.

დავსტოვოთ უპასუხოთ კორესპონდენტის ცნობა, რომ ბათომი იმყოფება უველურეს ქვეყანაში—ყოველ კაცს თავისი გემოვნება აქვს და შესაძლოა წერილის ავტორს, ვორონეჟის ბოსიაკი და წერა-კითხვის უცოდინარი სრულიად რუსეთის ბოლშევიკი ქართველებზედ უფრო კულტურულად მიაჩნდეს—ეს მისი საქმეა; მაგრამ როგორ არ უნდა გაიკვიროთ ცნობა რომ ბათომის ოლქში მეტი წესიერებაა, ვიდრე მის მეზობელ საქართველოში და თუ ქართველები შევიდენ ბათომში, ანარქია და ბოლშევიზმი მოიცავს ოლქს?

ამას ამბობენ ბათომის ოლქზედ რომელიც მთლიანად მოცულია ანარქიით და ბუდეა მომქმედ ბოლშევიკე-

# დღეს:

გერმანიაში პოლიტიკური გადატრიალება მოხდა. ახალი მთავრობა შესდგა და ეროვნული კრება დაიშალა.

ხალხთა ლიგამ დაადგინა, რუსეთში საანკეტო კომისია გაგზავნოს.

ინგლისური პრესის ცნობით, ბოლშევიკებმა საჭიროდ სცნეს, პროვინციებში საბჭოების გაუქმება.

—

„აზერტაგის" ცნობით, მოკავშირეებმა გადასწყვიტეს, ბათომის „პორტო ფრანკოდ" გამოაცხადონ.

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ახალი ნოტით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს.

## წერილები:

მეთაური—ბათუმს გვართმევენ?
— ბათუმი — პორტო-ფრანკოდ.
— ინტრიგები ბათუმის გარშემო და საქართველოს წინააღმდეგ.
— ჩიჩერინის ნოტა — ევგენი გეგეჭკორს.
გიორგი გვაზავა — ეროვნული უმცირესობა.
გიორგი ჯაბადარი — ქართული თეატრი.

---

ბისა მაშინ, როდესაც მეზობელ საქართველოში წესიერებაც დაცულია და ბოლშევიზმიც დამარცხდა სასტიკათ!

მაგრამ მოუსმინოთ კიდევ „ინგლისელ" კორესპონდენტს: ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც აქ შეადგენენ უმრავლესობას, წინააღმდეგნი არიან თბილისის მთავრობის, როგორც მათ არა ერთხელ განაცხადეს და უპირატესობას მისცემენ რუსების, ან ოსმალების ბატონობას"—სიცრუე ამაზედ მეტი განა შეიძლება? ნუ თუ მდგომარეობის შესანიშნავად „გაცნობილმა" კორესპონდენტმა, ვერ გაიგო რომ ქართველ მაჰმადიანობის არამც თუ უმრავლესობის, არამედ ერთსულოვანმა გარდაწყვეტილება საქართველოსთან შეერთებისა, არა ერთხელ ეცნობა სახალხო კონფერენციას და მოკავშირეთა ადგილობრივ სარდლობას.

ბათომზედ ლაპარაკი ხომ ზედმეტია იმის შემდეგ, რაც ბათომის მცხოვრებლებმა ასე ბრწყინვალედ გამოსთქვეს თავისი ნებისყოფა, ეხლახან მომხდარ საქალაქო არჩევნებში. — არა! კორესპონდენტი ან ბათომში არ ყოფილა, ან მართლა რომ „საგანგებოდ" ჩამოსულა ბათომში მდგომარეობის გასაცნობად.

ასეთი ინსინუაციებით არის ალ- [illegible]

მსოფლიო გამარჯვებას ზეიმობს, თავის სახელმწიფო საზღვრებზედ მიფვალი ზღუდენი აუმართავს?

არა! ამ წერილის ავტორი შეუძლებელია რომ ინგლისელი იყოს! ასეთს წერილის ავტორს, შეუძლია მხოლოდ პრესტიჟი დასცეს ინგლისელისა, რომლის ნაციონალურ თვისებათ, სიმართლის სამსახური მიგვაჩნია ყოველთვის.

ასეთი ინსინუაციებით ყალთაბანდობა კი, დიდ ბრიტანეთის პოლიტიკურ ორგანოს, არ ეკადრება!..

## ინგლისელები ბათუმში

**ქართველების მტრულად დევნილები. დაბრკოლებანი ადმინისტრაციაში**

(სპეციალური კორესპონდენტისაგან.)

ბათუმი, გიორგობისთვის 19, 1919 წ.

ბრიტანიის ადმინისტრაციას ბათუმში, არაჩვეულებრივი და რთულებები შეხვდა, ქალაქისა და მასთან მდებარე ოლქის ჩაბარების დროს.

უპირველესად, სამხედრო გუბერნატორმა და მისმა ოფიცრებმა უნდა აასრულონ თვისი სამხედრო სამსახური, გარდა დიდ საშუშაოსი, რომელიც გამოწვეულია მხარეში ქვეყნიერობა ზედ ფუძეურად მოქცეულ რუსულ ოლქის მმართველობით.

ესენი, პროფესიით ადმინისტრატორები არ არიან არამედ უბრალო ოფი- [illegible]

ბა თქმულია ოკუპაციაზე, ეს ისე რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიხსნებოდა კავკასია გარდაიქმნება სისხლიან ქაოსად რასაც მოჰყვება ხოცვა-ჟლეტა და შიმშილი ამიერ-კავკასიისა და სომხეთის მოსახლეობის შორის.

მცდელობა ოდნავ თუ გამოიცვალა უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში ეს ოფიცრები ისევე განაგრძობენ ამ მხარის მართვა-გამგეობას. ისევე ისე გამოურკვეველია, თუ ჩვენი ოკუპაცია სანამდე გაგრძელდება ან რა ნაირია ჩვენი პოლიტიკა ბათუმის ოლქის მიმართ.

სურსათი არ არი საკმარისი და არც არი საგრძნობი თადარიგი იმ ათასობით გამოქცეულ ლტოლვილთა გამოსაკვებად, რომელნიც გამოიქცნენ ანარქიით მოცულ ბათომის გარშემო მდებარე ქვეყნებიდან; მიუხედავად ასეთი დაბრკოლებისა ბრიტანიის სამხედრო ნაწილები მაინც ჯეროვნად ასრულებდენ თავის საქმეს:

ბათუმის ოლქი უფრო კარგს მმართველობაშია, ვიდრე სხვა ნაწილები რომლებზედაც დაიყო კავკასია ლოიებით, მიუხედავად იმისა, რომ ოლქი ჩამოჭრილია ყველა ჩვეულებრივ წყაროებიდან მისი სიმდიდრისა იგი ფინანსიურად თავის თავს თვითონ ინახავს. მცხოვრებნი და ლტოლვილებს ჰკვებავენ, ამოსავენ და ამრიგად გზა კასპიისკენ, სომხეთისა და სპარსეთში გახსნილია.

**ქართული ტირანია.**

ბათუმის ოლქს შიდმა არ გაულიმა მეზობლების მხრივ. მახლობელი, ვერიდ წოდებული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამხიარულო მაგალითია. არ ძალუძს რა თავის ხელმწიფების განმტკიცება დღევანდელ საკუთარ საზღვრებში, ეს რესპუბლიკა თავის მთავარ ბანაკიდან თბილისიდან ეწევა ძლიერ პროპაგანდას ევროპასა და ამერიკაში ბათუმის ოლქის შესაერთებლადაც. არ არის არც ერთი სახე ტირანიისა ამ დემოკრატიულ რესპუბლიკას რომ არ ეხმარა. მისი შოვინიზმი ყოველივე საზღვრებს სცილდება. ყოველი არა ქართული ელემენტი იდევნება უმოწყალოდ.

დღეს, ქართულ გაზეთებმა გამოაქვეყნეს უკანასკნელი დეკრეტი მიმართული იმაზედ, რათა თბილისში მცხოვრებმა ყველა არა ქართველმა ქვეშევრდომებმა, რომელთაც არა აქვს საბუთები ან და არ ეწევიან ვაჭრობას ან სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფებიან უნდა დასტოვონ მხარე ორი კვირის განმავლობაში.

რადგან ეს სასტიკი დეკრეტი გამოქვეყნდა დიდი ხნის ან კარგად მოწყობილ კამპანიის შემდეგ არა ქართულ ელემენტის წინააღმდეგ, რომელთაც ჰქონდათ უბედურება ეცხოვრათ ამ „რესპუბლიკა"-ში გერმანიის მიერ რომ არის ძუძუ ნაწოვი და რომელთაც ძალადობით სდევნიან და აიძულებენ დასტოვონ თავისი მამული და სავაჭრო, ამის შედეგად მოჰყვება ათას რუსულ და სომხურ ოჯახების განადგურება და ბათომში დაგროვება 25,000-50,000-მდე უბედურ ლტოლვილების, იმ დროს როდესაც სურსათი უკიდურესად განსაზღვრულია.

ეს მკაცრი დეკრეტი მეტად ართულებს ინგლისელებისათვის ბათომის მმართველ-გამგეობის საქმეს. ქალაქი უკვე აივსო ლტოლვილებით, ათასობით ისინი სცხოვრობენ „ტემპლუკებში" და მის დაგვარ ბინებში.

საქართველოს მთავრობა, თუ მას ბათომი შიდმა მიანიჭა, ასეთსავე ლონისძიებას მიიღებს აქაც. ყველა მერებს არა ქართულ მოდგმისას, რომელიც საზოგადოებრივ სამსახურში იმყოფებიან მიეცემათ ორი კვირის ვადა, ქალაქიდან გასასვლელად. ყველა არა ქართველი მოვაჭრენი, გახდებიან მსხვერპლნი ასეთ დევნისა და ისინი, ბოლოს და ბოლოს, მოხარულნი იქნებიან ამ პროვინციიდან ცოცხლებმა გააღწიონ თავი და თავისი საკუთრება აზიელ მმართველებს დაუტოვონ.

საქართველოს მთავრობა უკვე იყენებს ყოველივე ხელსაყრელ შემთხვევებს, თავის მნიშვნელობის ასაწევად. ქართველი დელეგატი, სცხოვრობს ბათუმში და ასრულებენ როლს ელჩისას, კონსულისას, თუ პროპაგანდისტისა და ყველაფრისას რისაც კი გნებავთ. ინგლის-საქართველოს საზღვრებზე ქართველი ჯარისკაცები ჩხრეკენ მატარებლებს და კონტროლს უწევენ ყველას ვინც ბრიტანიის ტერიტორიაზედ მიემგზავრებიან.

**საქართველოს ოცნებები.**

მოკლედ რომ ითქვას, საქართველო დიდ სახელმწიფოს როლს თამაშობს, მაგრამ არავითარი ღირსებები კი არა აქვს, მაგრამ გულახდილად რომ ვსთქვათ საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ოცნებაა. ოსმალეთის მნიშვნელოვანი ძალები, უკვე მზად არიან ბათუმის ოლქში შესასვლელად. დასტოვებენ თუ არა ინგლისელები ბათომის ოლქს, ისინი ყოველ ქართულ ძალებს განდევნიან, რომელიც კი შეეცდებიან დაიჭირონ ოლქი ისევე ადვილად და უსისხლოდ როგორც შარშანდელ წელს.

ამ შემთხვევაში, ბრიტანიის ოკუპაციის ყველა კეთილი საქმეები გაქარწყლდება მისთვის, რომ მისი ადგილი დაიჭიროს ოსმალეთის მმართველობამ ან ნამდვილმა ანარქიამ.

ბოლშევიკური მოძრაობა საკმაოდ ძლიერებით ვრცელდება ბათუმში. ქართველები არავის არა ჰსურს აქ.

ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც ადგილობრივ სოფლების მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, მტრულად ეკიდებიან თბილისის მთავრობას და ისინი უპირატესობას მისცემენ რუსეთის ან ოსმალეთის ბატონობას, როგორც ეს არა ერთხელ განუცხადებიათ.

ჩაისა, ფორთოხლისა, მანდარინისა და სხვა მრავალი პლანტაციები ამ ოლქის საზღვაო ნაპირებზე განსაკუთრებით ეკუთვნის რუსებს, რომელთაც ამ უკანასკნელ მთელი, ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში გააშენეს ეს ადგილები, სადაც უწინ მარტო ჩირგვები იყო.

ყველაფრით იმით რასაც ამ ჟამად ეს ოლქი წარმოადგენს, იგი დავალებულია რუსებით, რომელნიც ჩვენ და დენიკინს გვიყურებენ როგორც მხსნელებს ოსმალეთისა და საქართველოს ალჟირ-ახსნილობიდან.

უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ „მორნინგ პოსტის" მკითხველებს შეცდომაში ვერ შეიყვანენ საქართველოს მთავრობისა და მათ გერმანელ თანამოაზრეთა მიერ ფართოდ წარმოებული პროპაგანდა; თავის მდგომარეობის წყალობით ბათომი უნდა [illegible] ფრანკო პორტი ცივილიზაციისა პან-თურქულ მუქარის წინააღმდეგ, ან რგოლი ოსმალეთის ჯაჭვისა სპარსეთში.

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მხოლოდ ფარდაა გერმანია-ოსმალეთის გეგმების ჩვენისა და ახლად აღორძინების გზაზე დამდგარ რუსეთის საზარალოდ, ან და ასპარეზად, ბოლშევიზმის გასავრცელებლად".

---

## ეროვნული უმცირესობა

საკონსტიტუციო კომისია უკვე მიადგა ამ მწვავე საკითხს: რა არის „ეროვნულ უმცირესობათა უფლება და როგორ უნდა გამოიხატოს კონსტიტუციაში ძირითადი პრინციპები ამ უფლებისა?" ამ კითხვის შესახებ თვითონ საკონსტიტუციო კომისიაში არ იყო დიდი განსხვავება საზოგადო შეხედულებაში. და, თუ იყო ცოტაოდენი, მაინც ადვილად მოსჩანდა ამ სხვა და სხვაობის კომპრომისულად გადაწყვეტა. მაგრამ საქმე უფრო გართულდა, როცა კომისიამ მოისმინა აზრი და წინადადებანი სხვა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისა. აშკარად აღმოჩნდა, რომ ზოგი ერთი ეროვნული უმცირესობა საკითხს ასე უყურებს, თითქო მთელს საქართველოში იმის გარდა სხვა არავინ მოიპოება და თითქო თვითონ სრულებით უზრუნველ-ყოფილია ყოველ მხრივ, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა თვითონ სახელმწიფო, რომლის ფარგლებში ეს ეროვნული უმცირესობა იწყობს თავის ცხოვრებას. ერთის სიტყვით ზოგიერთს სრულებით ავიწყდება სახელმწიფო და მისი გარდაუვალი ინტერესები.

**როგორ უნდა დაისვას კითხვა?**

ეს სხვადასხვაობა ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებისა გამოწვეულია უფრო გაუგებრობით; ეროვნული საკითხი ყოველთვის მწვავედ იდგა კაცობრიობის წინაშე და დღემდის რიგიანად და საბოლოოდ იგი გადაწყვეტილი არ არის. იმას აქვს მჭიდრო კავშირი ადამიანის სულიერ განწყობილებასთან, იგი წარმოშვა და ჰსაზრდოებს გრძნობისაგან და სწორედ ეს გარემოება აძნელებს საკითხს და ხელს უშლის მის მშვიდობიანად გარჩევას და გადაწყვეტას. მაინც ჩვენ ბევრი გვაქვს ისტორიული ფაქტები და იურიდიული მასალა, რომ ეხლა მაინც სწორედ დავსვათ კითხვა და გადავწყვიტოთ იგი შეძლებისდაგვარად.

ისტორიამ უკვე აშკარად გაარკვია ორი არე ამ საკითხისა. ერთია—ეროვნული საკითხი, მეორეა—ეროვნული უმცირესობათა უფლება. პირველსა სწყვეტს ისტორიული პროცესსი, მეორეს—ეროვნული კანონმდებლობა. პირველი საკითხია საერთაშორისო, მეორე—სახელმწიფო უფლებისა. პირველის მიზანი და საბოლოო გადაწყვეტა არის ეროვნული სახელმწიფოს დაარსება, მეორესი—მოწესრიგება შინაური ცხოვრებისა სახელმწიფოს ფარგლებში.

ისტორიამ მართლა გადაწყვიტა ეროვნული საკითხი ამიერ კავკასიაში: დაარსდა სამი ეროვნული სახელმწიფო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამიტომ ეს საკითხი საკონსტიტუციო კომისიას სულ არ შეეხება.

ჩვენ წინ ჰდევს მეორე საკითხი: ეროვნული უმცირესობათა უფლება საქართველოს რესპუბლიკაში. რა ზომის და შინაარსის უნდა იყოს ეს უფლება, რომ ყველასათვის უზრუნველ იქნეს მშვიდობიანი ცხოვრება და განვითარება?

**უცხო ქვეყნის მაგალითები**

ბევრსა ჰგონია, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია შვეიცარიასა და ბელგიაში.

ეს შემცდარი აზრია.

შვეიცარიაში გადაწყვეტილია პირველი, ეროვნული საკითხი, და არა მეორე—საკითხი ეროვნულ უმცირესობათა უფლებისა. შვეიცარია ფედერატიული სახელმწიფოა. უკვე ფედერაციამდე მისი ეხლანდელი კანტონები თვითონ წარმოადგენენ პატარ-პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და თავისთვის თითეულს მათგანს უკვე ჰქონდა რადიკალურად გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი ე. ი. თითეულ ერს უკვე ჰქონდა ერთი ან რამოდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო ან კანტონი. როცა ეს კანტონები შეერთდნენ ფედერაციის სახით, თავის თავად ცხადია, ყველამ შეინარჩუნა თავის ენა და სხვა უპირატესობაც კონფედერაციაში. ამიტომ იქ სამი ენა ფრანგული, გერმანული და იტალიური—ცნობილია, როგორც ეროვნული ენა მთელი სახელმწიფოსი. ამ სამ ენაზე ჰსდება, თანასწორად და თავისუფლად, მსჯელობა პარლამენტში, გამოქვეყნება კანონებისა და განკარგულებისა, საქმის წარმოება სასამართლოში და სხვა. შვეიცარიაში არა ჰდგას და არცა მდგარა საკითხი ეროვნული უმცირესობისა. ამიტომ შვეიცარიის მაგალითი ამ თვალსაზრისით ჩვენ არაფერს გვეუბნება და არავითარ საკითხის გადაწყვეტას არ გვაძლევს.

არც ბელგიის მაგალითი არის ჩვენთვის გამოსადეგი. იქ არის ორი ეროვნება მოქცეული—ვალონელები და ფლამანდიელები, არის ორი ენა—ფრანგული და ფლამანდური. „ორივე ენის ხმარება ფაკულტატიურიაო (თავისუფალიაო)" ამბობს 23 მუხლი ბელგიის კონსტიტუციისა: „კანონი განსაზღვრავს მხოლოდ მათ ხმარებას მართველობასა და სასამართლოში". კანონით (17 აგვისტოს 1873 წ.) თითქმის გათანასწორებულია ორივე ენა, თუმცა ფაქტიურად ფრანგულ ენამ თითქმის დაიმკვიდრა უპირატესობა. მაინც არავითარ უკმაყოფილებას და ეროვნულ შეხლა-შემოხლას ადგილი არა აქვს. საყურადღებოა ის, რომ არც ერთ ერს არ მოუთხოვნია არც კულტურული, არც მათი უფრო ტერიტორიალური ავტონომია, არც სხვა რაიმე ეროვნული ხასიათის თვითმართველობა. ბელგიის მაგალითი ჩვენთვის დიდად საყურადღებოა, თუმცა აქაც არა ჰდგას საკითხი „უმცირესობისა". მთელი ქვეყანა თითქმის თანაბარად უპირავს ორ ერს და არც ერთზე არ ითქმის, რომ ის იყოს ისეთი უმცირესობა, რომელიც ჰთხულობს განსაკუთრებულ კანონმდებლობას თავის ეროვნულ ინტერესების დასაცველად.

ავღოთ კიდევ ერთი მაგალითი საფრანგეთი. იქ არიან ბასკები, რიცხვით 150.000-მდე; არიან ბრეტონელები—3.000.000 (სამი მილლიონამდე): ჩვენ ვიცით, არც ბასკებს, არც ბრეტონელებს არა აქვთ ავტონომია არც კულტურული, არც ტერიტორიალური, მაგრამ ვიცით ამავე დროს, რომ ყველანი ჰცხოვრობენ მშვიდობიანად, ყველასაც აქვს სრული გასაქანი ყოველმხრივ განვითარებისათვის. აი, აქ, საფრანგეთში, მართლა არის „უმცირესობა" და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ სამართლიანი გადაწყვეტა საკითხისა.

გიორგი გვაზავა.

(დასასრული იქნება)

---

## ჩიჩერინის ნოტა გეგეჭკორს

თბილისი მოსკოვიდან. საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს

1920 წ. თებერვლის 29 ს ისტორიამ საკმაოდ გაამართლა მუშათა-გლეხთა რუსეთის მთავრობა იმ უფრო გამოწვეულ [illegible] ბრალდებებში, რომელსაც დაგვიანებით ესვრის მას გეგეჭკორის მთავრობა თავის ნოტაში იმეორებს რა უკვე განქიქებულ ფაქტებს. და ცოცხალ მოსიარულე ფრაზებს მუშათა და გლეხთა რევოლუციის მტრებისას, რევოლუციის გამარჯვებულ მსვლელობის მიერ დამარხულს.

რუსეთის საბჭოთა მთავრობა ერთად ერთი ჭეშმარიტი მეგობარია ყველა მცირე ერებისათა, ჭეშმარიტად ატარებს რა ცხოვრებაში ყველა ეროვნებათა მშრომელთა ეროვნულ თვით გამორკვევის პრინციპს, იწვევს საქართველოს, რათა გაერთიანებულ ძალებით გაეტეხათ მეფის გენერლის დენიკინის თეთრგვარდიელების არმიები, რომელთა მიზანია ძველი რეჟიმის აღდგენა და უთავბოლოდ ჩაგვრა ეგრე რუსეთის იმპერიის დამორჩილებულ ეროვნებების.

ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაეწია საქართველოს ფართე მასსის ინტერესებისათვის, გეგეჭკორის მთავრობამ გვიპასუხა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლით, რათა ამით უფრო ღრმად გასთხაროს უფსკრული მასსა და რუსეთის მშრომელთა მასსის ნებისყოფის გამომსახველის საბჭოთა მთავრობის შორის.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა არ შეიძლება, რომ არ იცოდეს, რომ მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც მძიმე მომენტში დაუტოვა მას მუშათა და გლეხთა რევოლუციის დროში მისმა წინამორბედმა წერეთლისა, კერენსკისა და კადეტების კონტრ-რევოლუციონურ მთავრობამ, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა ძველი წესწყობილება მშრომელთა მასსის სურვილის წინააღმდეგ, რამაც საბჭოთა მთავრობა პირისპირ, უიარაღოდ დააყენა შეუბრალებელ და ხარბ გერმანულ იმპერიალიზმის წინაშე.

მაგრამ როგორც გინდ მძიმე არ იყოს მსხვერპლი, რუსეთის მშრომელთა მასსა იძულებული იყო, იგი მიეტანა. მით დაიცვას თავიანთ მტრისაგან ყველაზე ძვირფასი მოპოება საბჭოთა მთავრობის, მუშათა და გლეხთა მთავრობა, ის დაუშრეტელი წყარო, რომელმაც ბრესტის ზავი გახადა ახალ გზად, რომელმაც საბოლოოდ დასცა გერმანული იმპერიალიზმი და რომელმაც საბჭოთა რუსეთში გლეხთა მთავრობა განამტკიცა. ამ გზით არ წავიდა ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა. მოანგარე, ხარბი გერმანული იმპერიალიზმი ესწრაფოდა რა თავის ძლიერების უსაზღვროებას, აგრეთვე მისდამი მტრულად განწყობილ ძალთა ჩაქრობას, თაულალავი, ცბიერი მუშაობით უმზადებდნენ ახალ შეტევას რუსეთის მშრომელთა მასსას.

სარგებლობდნენ რას ჯერ კიდევ ხერხემალ გაუმაგრებელ საბჭოთა რუსეთის სამხედრო სისუსტით, გაიჩინეს კონტრ-რევოლუციის დასაყრდენობი პუნქტები ყოფილ რუსეთის იმპერიის განაპირა სახელმწიფოებში და სურდათ თეთრ-გვარდიელთა ცენტრებით შემოერკალათ საბჭოთა რუსეთი, რომ ამით საბჭოთა რუსეთი დაღუპვისთვის ნიადაგი მოემზადებინათ. ამ კონტრ-რევოლუციის შეთქმულებაში კრასნოვსა და სკოროპადსკზე ნაკლები მონაწილეობა არც ჟორდანიასა და გეგეჭკორს მიუღიათ.

თუ რატომ გაუადვილდა ჟორდანიას თურქების ფაშებთან საერთო ენის გამონახვა ტრაპიზონში, თუ რატომ ასეთი დახმარება მიიღეს მათ გერმანულ გენერლებისა და დიპლომატების მხრივ თუ რატომ ეფერებოდა ჟორდანიას მთავრობას გერმანიის მთავრობა, რომელიც შეუბრალებელი იყო საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების დროს, ეს ყველამ იცის. ყველამ იცის, რომ ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა იყო კონტრევოლუციონერების ნების ამსრულებელნი მშრომელთა კლასის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ჩაქრობის საქმეში. გამოირკვა იუნკრების წარმომადგენელ მოსკოვში მირბახი იჩენდა არა მარტო სკოროპადსკისადმი მეგობრობას, არამედ ჟორდანიასა და ჩხეიძესაც მფარველობდა. მირბახმა საბჭოთა მთავრობას კატეგორიულად მოსთხოვა, რათა მას მოლაპარაკება გაემართა ჯერ ამიერ-კავკასიის სეიმთან, შემდეგ კი საქართველოს მთავრობასთან. ჟორდანიას მთავრობა ეყრდნობოდა გერმანელთა ხიშტებს, გზავნიდა დამსჯელ რაზმებს აფხაზეთის გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ. სისხლში ახრჩობდა საქართველოში სახალხო მოძრაობას, სიკვდილით სჯიდა თბილისში მუშებს, აწარმოებდა განსანადგურებელ ბრძოლას მშრომელ ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლთა წინააღმდეგ, ცეცხლითა და მახვილით აქრობდა ამბოხების ცეცხლს, ჯუღელის, ჯიმლაძის და კონიაშვილის მოქმედებასთან ალიხანოვის დამსჯელი რაზმების მოქმედება შესადარებელი არაა. მაშინ როდესაც საბჭოთა რუსეთისადმი ერთგულად განწყობილ შავი ზღვის სანაპიროს მუშები საბჭოთა რუსეთს სთხოვდნენ დახმარებას, გერმანიის ფლოტმა საშუალება წაართვა ყუბანში მყოფ საბჭოთა ჯარს დახმარებოდა აფხაზეთის მუშებს. ჟორდანიას მთავრობამ თვითონ მიიწვია საქართველოში გერმანელთა სამხედრო ძალები, და მისი დახმარებით ჩააქრო სახალხო მოძრაობანი.

ბაქოს აღებისა და დანგრევის გამო, რომელიც ოსმალოს ჯარებმა მოაწყვეს აზერბაიჯანის კონტრ-რევოლუციის წარმომადგენელს ჯაფაროვს ვინ მიულოცა თუ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟორდანიამ. ამის შემდეგაც ჟორდანიას მთავრობა ესალმებოდა თბილისში ჩამოსულს ოსმალოთა ჯარების მთავარსარდალს ხალილ-ფაშას. ტყიბულის მაღაროში მომუშავეთა გაფიცვას, რომ თავიანთი მდგომარეობა გაეუმჯობესებიათ ჟორდანიას მთავრობა უპასუხებდა დრაკონულ რეპრესიებით და ტფილისში სწერდა მათ თავის გაზეთ „ბორბას" მეთაურებში.

მაშინ როცა ორი იმპერიალისტური კოალიცია იბრძოდა სამკვდრო-სასიცოცხლოთ, ისინი თავიანთ დაქირავებულ აგენტების სახით ერთმანეთს ართმევდენ ხელს.

როცა მზადდებოდა შეტევა გლეხურ და მუშურ რუსეთზე გერმანელთ და ინგლისელთ დაქირავებულები ხელის ხელ გადაბმულნი მიდიოდენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და ჟორდანიას მთავრობა ეძებდა კავშირს არა მარტო გერმანელ აგენტებთან, არამედ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან. ფრანგ ოფიცრების მოხსენებანი, როგორც შაოდენის, ამ მთავრობის სახით მხედავდნენ ერთად ერთ სასურველ ძალას რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლუციის წინააღმდეგ.

მაშინ, როდესაც გერმანელთა ძალები შეგროვდნენ საქართველოს სამხედრო გზაზე ემუქრებოდნენ რა მუშათა და გლეხთა მთავრობისთვის მებრძოლ მთიელებს, ინგლისის მთავრობა ეწეოდა ინტრიგებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რასაც ხელს უწყობდა გეგეჭკორის მთავრობაც და აძლიერებდა რა ამით კონტრ-რევოლუციურ მოძრაობას მთელ კავკასიაში.

გერმანულ იმპერიალიზმის დაცემამ არ გამოიწვია ჟორდანიას მთავრობის პოლიტიკის სისტემის შეცვლა, მის ძველ კონტრ რევოლუციონურ მფარველის ადგილზე დასვა მეორე

ჩრდილო-კავკასიის და ყუბანის ქალაქთა საღრჩობელები და მოწმენი დაამოწმებენ საბჭოთა მთავრობის მოწინავე მებრძოლთა წითელარმიელების სიკვდილს, რომელნიც პოლკოვნიკ წერეთელმა მისცა მის სულიერ მონათესავე დენიკინის მთავრობას.

მძიმე და აუტანელ პირობები, ტყვეობისა, რომელშიც იმყოფებოდნენ ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობის ხელში გავარდნილი წითელ არმიელ ტყვეები მიღებული რუსეთის საბჭოთა მთავრობისაგან და თავის დროს ნაცნობები თბილისს, მეტად მჭერმეტყველური მასალებაა.

ასეთია სინამდვილე საგარეო საქმეთა მინისტრის გეგეჭკორის რადიო ტელეგრამაში დაფარული ესრედ შეუსაბამ ფრაზებით რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა მიუხედავად ამისა იმედოვნებდა რომ გეგეჭკორის მთავრობა უარს არ იტყოდა რუსეთ-საქართველოს მშრომელთა სახალხო მასსის ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ.

ამის ნაცვლად საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა საბჭოთა მთავრობას უპასუხა ძველ ბრალდებათა და შურით აღძრულ თავდასხმის გამეორებით.

როდესაც რუსეთის საბჭოთა მთავრობა იმედოვნებდა მასზედ შეერთ რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, საგარეო საქმე მინისტრმა გეგეჭკორმა გვიპასუხა მით, რომ გამოსთქვა იმედი, რომ საბჭოთა მთავრობა იპოვის საერთო ენას მასთან მოსალაპარაკებლად.

საბჭოთა მთავრობა აფასებს არა ენას, არამედ მოქმედებას ჟორდანიის და გეგეჭკორის მთავრობას, რომლისგანაც დამოკიდებულია მესადმი რუსეთის საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება.

საგარეო საქმ. კომისარი **ჩიჩერინი**

**საგარეო საქმ. სამინისტროსაგან**

ნოტა იბეჭდება რამოდენიმე დამახინჯებით, რომელთა შესწორება შეუძლებელი გახდა.

# კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში

**მთავრობის დამხობა. ეროვნულ კრების დაშლა**

(რადიო ცნობა)

(დასაწყისი არ მიგვიღია)... მთავრობის სათავეში სდგანან ფონ კაპპ და გენერალი ლიუტვიცი. ახალი მთავრობის მიერ ეროვნული კრება გაუქმებულად არის გამოცხადებული ებერტის, ბაუერისა და ნოსკეს მთავრობა. დრეზდენში გამოსცენ მუშებისადმი მოწოდება საერთო გაფიცვის წინადადებით. „პტიპარიზენი" არკვევს რა ბერლინის ამბებს. სწერს: „მოკავშირეთა მთავრობებს არ შეუძლიათ იცნონ რეჟიმი რომელიც... (სიტყვა დამახინჯებულია) გამომდინარეობს. ისინი ალბად მოიცდიან, რომ გერმანიის ხალხმა გამოსთქვას თავის სურვილი ახალ არჩევნებში. თუ კი ეს არჩევნები თავისუფლებისა და გულწრფელობის საკმაო გარანტიებში მოხდება. რაც შეეხება მოკავშირეთა საკანტროლო კომისიებს. გენერალმა ფონ-ლიუტვიცმა, როგორც კი თავის თავზე სამხედრო მინისტრის უფლება აიღო, ერთ ერთ თავისი აფიცერთაგანი გაუგზავნა მათ დასარწმუნებლად, რომ მათი მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი იქნება.

დამატებითი ცნობები ამ პოლიტიკური გადატრიალების შესახებ, რომელიც გერმანიაში მომხდარა, რედაქციას გაზეთის გამოსვლამდე არ მიუღია.

# ივანე ლორთქიფანიძე

სოხუმიდან ჩამოსულნი გვამცნობენ, რომ საქართველოს დროებითი მთავრობის ყოფილი წევრი, სოც.-რევოლიუციონერი ივანე ლორთქიფანიძე, რომელიც უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის კომისარიატის წევრად იყო, გადაყენებიათ თანამდებობიდან რადგან, როგორც ამბობენ, მოულოდნელ რევიზიას აღმოუჩენია, რომ მის განკარგულებაში მყოფი სახელმწიფო თანხები იხარჯებოდა პარტიულ პროპაგანდის საჭიროებისათვის.

ანალოგიური საქმე შეემთხვა ბ-ნ ლორთქიფანიძეს საქართველოს მთავრობის წევრად ყოფნის დროს.

## იტალიის პოლიტიკურ საა-გენტოს რადიოს ცნობები

**საბჭოთა რუსეთის უკანასკნელი საზავო წინადადება პოლონეთს**

ვარშავა, მარტის 12 აქ გამოაქვეყნეს ტექსტი უკანასკნელ საზავო წინადადების, რომელთაც ბოლშევიკებმა პოლონეთის მიმართეს თავის საზავო წინადადებაში საბჭოთა მთავრობა ირწმუნება რომ სხვა ყველა სახელმწიფოზე უფრო მეტად მას სურს პოლონეთთან ზავის ჩამოგდება, ხოლო რაც შეეხება პოლონეთის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარის უკანასკნელ შეტევას, იგი შედეგი იყო პოლონეთის მიერ უკრაინელების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებისა. ვარშავში აქ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს წარმომადგენელთა შორის ამ საზავო წინადადების შესახებ.

**სომხეთის ჟანდარმერიის მოწყობა**

**რომი.** მარტის 13 ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ თსალეთის ჟანდარმერიის ორგანიზაცია, როგორც სჩანს, იტალიას დაევალება.

# პირდაპირი მავთულით კავკასიიდან

**პური საქართველოსთვის.**

ყუბანის საოლქო მთავრობამ საქართველოს ეკონომ წარმომადგენლის ვაჩეიშვილის განკარგულებაში გასცა საქართველოში გამოსაგზავნად პურის პირველი პარტია 100 ათასი ფუთი და 50 ათასი ქონეული. თებერვლის 21-ს (ძველი სტილით) ნოვოროსიისკში პირველ პარტიიდან ჩამოვიდა 35 ათასი ფუთი.

**გენერლების რომანოვსკის, შილლინგის და დრაგომიროვის განდევნა**

სამხრეთ-რუსეთში ახლად შექმნილ მდგომარეობის გამო, სამსახურიდან გადააყენეს ინგლისის სარდლობასთან ყოფილი რუსეთის მოხალისეთა წარმომადგენელი გენ. რომანოვსკი, გენ. შილლინგი მოხალისეთა მიერ ნოვოროსიისკში გენერალ-გუბერნატორად დანიშნული და გენერალი დრაგომიროვი (მოხალისეთა არმიის ბარიზის დელეგაციის წევრი, კიევის ყოფილი გუბერნატორი).

**ეკატერინოდარის დატოვება ინგლისელებისგან.**

დონის, ყუბანის და თერგის უმაღლეს „კრუგის" ცნობებით, ინგლისელებმა ეკატერინოდარი დასტოვეს. ეკატერინოდარში დარჩენილი ხმები დადის, რომ ისინი ნოვოროსიისკიდანაც მიდიან.

**„ძირს" ომი.**

მინერალების მიმართულებით „ნაგუტსკიდან სუვორინსკამდე) მეამბოხეებმა ლოზუნგად გაიხადეს — „ძირს" ომი, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას".

კურსეფსკისა და ნაგუტსკის სად გურებზე გამოკვრულია პლაკატები ამ ლოზუნგებით.

# მცხეთაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები

მარტის 14-ს მცხეთის საკრამიკო სკოლის გვერდით, გზის პირად გაბოხუბიეროვის სახლის საძირკვლის თხრის დროს, ძალიან ღრმად, აღმოჩნდა დიდი აკლდამა გადახურული დიდი, სუფთა ლოდებით. აკლდამის გახსნისას აღმოაჩინეს უთავო ჩონჩხი, ჩონჩხის გვერდით: სურები. შუშის ქილები, საცრემლეები, ფულები ანტონი რომის კეისრის წარწერით, ბეჭდები და სხვა სამკაული.

სამწუხაროდ, ზოგი ნივთეული პატრონმა მიითვისა და შეძლება არ გვექონდა ვეინახა. ყოველივე ეს ეუწყა საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც იმედია, დაჩქარებით მიხედავს ამ საქმეს, და ამოსთხრის აკლდამის არე-მარესაც, სადაც ჩნდება ახალი, მეორე—ბაიერნის მიერ სამთავროს აკლდამის მერე (აქედან 500 ნაბიჯის დაშორებით)—მდიდარი წარმართული სასაფლაო, სადაც ყველაზე მეტად, ჩვენის აზრით საინტერესო იქნება ქართულ კერპების კოლლექცია.

ვ. ლეონიძე.

# იტალიის სამოქალაქო მისიის ჩამგზავრება საქართველოდან

მარტის 14 საღამოს 8 საათზე სწრაფი მატარებლით ბათუმს გაემგზავრა იტალიის სამოქალაქო მისიის მთელი შემადგენლობა სენატორ კონტის მეთაურობით.

ამ მისიამ უკვე დაამთავრა თავისი საქმე და ვრცელი მოხსენება შეადგინა საქართველოში ყოფნის და შეგროვებულ მასალების შესახებ, იტალიის მთავრობისთვის წარსადგენათ. მისია ბათომიდან რომში დაბრუნდება. მისიას ბათომამდე გაყვნენ იტალიის პოლიტიკური აგენტი საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში პოლკ. ჰაბბა და ატაშე პოლიტიკურ სააგენტოსთან პოლკ. მიქელი.

# პარტიული ცხოვრება

## მთავარ კომიტეტის სხდომა

დღეს საღამოს 7 საათზე პარტიულ ბიუროში დანიშნულია ერ. დემოკ. პარტიის მთავარ კომიტეტის სასწრაფო სხდომა. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**გენერ. ერდელის დელეგაცია.**

ბაქოში ჩასულ სარწმუნო წყაროების მიხედვით, ბაქოში ელიან პეტროვსკის დელეგაციას გენერალ ერდელის მეთაურობით აზერბაიჯანის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

## სომხეთი

**სომხეთი და ჩრდილოეთ-კავკასია**

ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელმა სომხეთის მთავრობასთან ჰაიდარ ბამმატმა მიმდინარე მომენტის შესახებ თავის მთავრობის და საკუთარი თვალსაზრისი გაუზიარა სომხეთის მთავრობას. ბამმატი იმ თვალსაზრისს იცავს, რომელიც მან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადრევე გაუზიარა.

**ა. ხატისოვის პასუხი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი**

მარტის 4 ის თქვენი დეპეშის საპასუხოდ მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ სომხეთის მთავრობა იანვარში მომხდარ აზერბაიჯან-სომხეთის კონფერენციის მუშაობას არ სთვლის დასრულებულად. სომხეთის მთავრობა თქვენი მთავრობის პასუხს ელის იმ კონკრეტიულ წინადადებაზე, რომელიც მე თქვენ პირადად გადმოგეცით თბილისში ყოფნის დროს რომელიც თქვენ მიიღეთ თქვენ მთავრობისათვის გადასაცემად. ეს წინადადებანი, რომელნიც აუცილებელი პირობა იყო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენციის შეწყვეტილ მუშაობის გასანახლებლად შემდეგ დებულებათ გამოხატავდნენ ყარაბახის status quo-ს ცნობა ორივე რესპუბლიკის მიერ, აზერბაიჯანის მხრივ კი სასტიკი დაცვა იმ შეთანხმების, რომელიც მოხდა ყარაბაღის სომხურ ნაციონალურ საბჭოსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის ამას გარდა ზანგეზურში stutus-puo-ს ცნობა ერევან ჯულფას რკინის გზაზე მოძრაობის განახლება და ფაქტიურად ცნობა შარურ-ნახიჩევანის სანახების სომხეთის განუყოფელ ნაწილად. კონფერენციის მოწვევის სამი ცდის უნაყოფოდ ჩატარებამ აშკარად დაგვარწმუნა იმაში, რომ წინასწარ ამ წინადადებათამიუღებლობა რეალურ შეთანხმებას შეუძლებლად ხდის ორივე რესპუბლიკის მოქალაქეთა შორის კონფერენციის ავტორიტეტი როგორც რესპუბლიკის ურთიერთობის მომწესრიგებელი ფაქტი ეცემა.

სომხეთის მთავრობა, სთვლის რა აუცილებელ საჭიროებად მეზობელ რესპუბლიკების თანამშრომლობას და საკითხების გადაუწყვეტად კონფერენციის მოწვევას გთხოვთ, დელეგატებისთვის დავალებათა მისაცემად წინასწარ შემდეგი შეგვატყობინოთ: აზერბაიჯანის მთავრობა თქვენ დეპეშაში აღნიშნულ წინადადებას სთვლის ახალ წინადადებათ, და თუ ამ კითხვაზე დადებით პასუხი იქნება ამ შემთხვევაში შეგვატყობინეთ კითხვების სია და კონკრეტული ფორმა, რომლის ჩარჩოებში ჩატარდება კონფერენციის მუშაობა.

**სომხეთის საზღვრები.**

„ჟოლ. ძაინ"-ს პარიზელ კორესპონდენტთან საუბარში ავ. აჰარონიანმა შემდეგი განაცხადა:

„ცნობების კონფერენციისაგან ცნობა ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცნობას რამდენიმე დღის წინად მივიღებთ.

ჩვენი საქმე მოგებულია. თუმცა ჩვენ მიერ მიღებული არ არის.

იდეალით, მაინც უზრუნველყოფილნი ვართ. არზრუმი და ერძინჯანი უსათუოდ შევლენ სომხეთის საზღვრებში, და შესაძლებელია, რომ ტრაპიზონის ვილაეთის აღმოსავლეთი ნაწილი მოგვცემან როგორც გასავალი შავ ზღვაზე".

დელეგაციის მეორე წევრმა ა. ხაბანიონმა ამავე საკითხის შესახებ განაცხადა:

„შეგვიძლიან დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ჩვენი საქმე მოგებულია. მიღება ძნელი იყო და რაც გვაქვს მიღებული დიდი გამარჯვებაა. ერთობილი სომხეთი იმ საზღვრებში, რომლებშიაც იგია ნაჩვენები სომეხთა დელეგაციის მემორანდუმში, ადვილად შესაძლებელია, რომ იქმნეს აღიარებული.

კილიკია სომხეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ძველი პროგრამმა, რომლითაც მოკავშირენი ფიქრობდნენ სომხეთისა და კილიკიისშიაც ოსმალეთის ტერრიტორიის შეჭრას, დღეს საჭირო აღარ იქნება".

## სპარსეთი

**ბოლშევიკები სპარსეთში.**

გაზ. „ირანი"-ს ცნობით, ქ. არდებილში გაჩნდნენ ბოლშევიკები, რომელიც კონვოით ქ. ენზელში წარგზავნეს.

**სპარსეთის შახი იტალიაში.**

სპარსეთის შაჰი აჰმედ-მირზა ყაჯარი ამ დღეებში რომში ჩავიდა სადაც იტალიის მეფემ ვიქტორ ემანუილმა მედიდურად დიდი პატივით მიიღო. იმავე დღით შაჰის საპატივსაცემოდ გაიმართა სამეფო ბანკეტი, რომელსაც მინისტრთა საბჭო დაესწრო სრული შემადგენლობით. მეორე დღეს შაჰმა დაათვალიერა რომი და სადამოთი სამეფო სასახლეში გამართულ ბანკეტს დაესწრო.

**მაზანდარის მოსახლეობის ჩივილი.**

გაზ. „ვატან"-ის ცნობით პროვინცია მაზანდარის მოსახლეობა მთავრობას თან უჩივლა ჟანდარმერიას, რომელიც მას უდიერად ეპყრობა.

**ეპიდემია.**

გაზ. „გიალშან"-ის ცნობით ქ. ვირაგინში ეპიდემია მძვინვარებს, რომელსაც დღეში 50 სული გააქვს მსხვერპლად.

**თ ო ვ ლ ი.**

სპარსულ გაზეთების ცნობით სპარსეთში მოვიდა დიდი თოვლი, რომლის დაგვარი არ ყოფილა ამ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში. გზები შეკრულია. ამის გამო ზოგიერთ პროვინციების მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდის.

# ახალი ამბები

## სამინისტროებში

**პროვინციაში ფოსტის გადაზიდვის საქმე**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პროვინციაში ფუნის მილიციის უფროსები გადასაზიდ ფოსტის დასაცავად საჭირო ცხენოსან მილიციელების საკმაო რიცხვს არა ნიშნავენ, რის გამოც ფულიანი ფოსტის გადაზიდ-გადმოზიდვა პროვინციაში არ არის სავსებით უზრუნველ-ყოფილი. სამინისტრომ წინადადება მისცა სამაზრო მილიციის უფროსებს ენერგიული ზომები მიიღონ ფოსტის დასაცავად, როგორც გზაში გადაზიდვის დროს, ისე დაწესებულებებში.

**მებამბეობა საქართველოში**

მიწად მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს მიიღოს ღონისძიება საქართველოში ბამბის კულტურის განსავითარებლად. გადაწყვეტილია მოწვეულ იქმნას მებამბეობის სპეციალისტი მებამბეობის გავრცელება-განვითარების საკითხის დასამუშავებლად. სამინისტრო ზომებს ღებულობს აგრეთვე, რომ ამ სეზონშივე მოეწყოს მებამბეობის საცდელი მინდორი, ხოლო მომავალ წელს კი უკვე შეუდგნენ ბამბის კულტურას ფართე მასშტაბით.

**პრაქტიკანტები სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებთან**

მიწად მოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს პრაქტიკანტთა ინსტიტუტი შექმნას სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებთან და შესაფერი თანხა შეაქვს სამინისტროს მომავალ საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. პრაქტიკანტები იქნებიან თითო სეზონით და წლიურნი. თითოს მიეცემათ თვიურად პირველთ—2500 მან., მეორეებს—3000 მან.

**აჭარის დელეგაცია.**

დელეგაცია, რომელიც აჭარიდან ჩამოვიდა 3 კაცის შემადგენლობით გუშინ წარუდგა საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ევ. გეგეჭკორს, რომელთანაც დელეგაციას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა აჭარასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ.

## მისიებში

**მასკულის გამგზავრება.**

13 მარტს დილის 10 ს. სასწრაფო მატარებლით გაემგზავრა საზავო კონფერენციის უმაღლესი კომისარი პოლკ. ჰასკელი მთელი შტაბით. გზაზე პოლკ. ჰასკელმა დაათვალიერა დაზარალებული გორი.

**სპარსეთის კონსულის ჩამოსვლა.**

ბაქოდან 14 მარტს თბილისში ჩამოვიდა ამიერ კავკასიის საგენერალო კონსული.

**პური აზერბაიჯანს**

14 მარტს ბათომიდან თბილისში მოვიდა 25 ვაგონი ამერიკის ფქვილი რომელიც განზრახულია აზერბაიჯანისთვის.

## დამფუძნებელი კრება

**ბინების ქირის შესახებ.**

დამფუძნებელ კრებასთან არსებულ თვითმართველობათა კომისიამ შეიმუშავა კანონ-პროექტი სავაჭრო და საცხოვრებელ ბინებზე ქირის მომატების შესახებ. ამიტომ კომისიაში შეიტანეს წინადადება კანონმდებლობითი წესით ადრევე გამოცემულ დეკრეტის გაუქმების შესახებ, რომელიც ამავე საკითხს ეხებოდა.

**საკონსტიტუციო კომისიაში.**

ოთხშაბათს, მარტის 17-ს საღამოს 7 საათზე, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების თანადასწრებით, შესდგება საკონსტიტუციო კომისიის სხდომა კომისია მოისმენს დანარჩენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების თეზისებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ.

**ნ. ნიკოლაძის წიგნთ საცავი.**

წიგნთ-საცავი, რომელიც დამფუძნებელ კრებამ შეიძინა ნ. ნიკოლაძისაგან 500,000 მან. გადმოიტანეს ფოთიდან თბილისს. წიგნთ საცავში აღმოჩნდა მრავალი ძვირფასი წიგნები და მე-19 ე საუკუნის მეორე ნახევრის რუსული ჟურნალები.

## ფოსტა-ტელეგრაფი

**სოფელ შუხუთში.** (ოზურგეთის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება ყოველგვარ კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ლანჩხუთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან, რომელსაც შორავს 4 ვერსით.

## სხვა და სხვა ამბები

**ჟურნალი „განათლება".**

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს სრ-დ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის პერიოდული ჟურნალი „განათლება" № 1. ჟურნალში მოთავსებულია, სხვა წერილებს შორის სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის ოქმები. ჟურნალის შემდეგი № მარტის ბოლო რიცხვებში გამოვა.

**სენატორობაზე უარის თქმა.**

სენატორმა ივ. ზურაბიშვილმა შეიტანა სენატში განცხადება სენატორის თანამდებობის დატოვების შესახებ.

## სასამართლოში

**სენატორის გადადგომა**

როგორც გადმოგვცეს, სენატორი ივ. ზურაბიშვილი თანამდებობას თავს ანებებს.

**პალატის ახალი წევრის არჩევა**

თბილისის ოლქის სასამართლოს წევრი ვლ. კობიაშვილი სენატმა პალატის წევრად აირჩია.

## მატარებლების დაჯახება.

13 მარტს, ღამის 11 ს. სახალხო მატარებელი № 8. სვირიდან გასული ყვირილის სადგურს როცა უახლოვდებოდა დაეჯახა 3 ცისტერნას. ვიდრე მატარებელი სად. სვირიდან გამოვიდოდა ყვირილის სადგურიდან 3 თანავთისავსე ცისტერნა მანევრების დროს მოწყვეტილა მატარებელთა შემადგენლობას და გაქანებულა სად. სვირისაკენ საიდანაც სახალხო მატარებელი № 8 უკვე გამოსულიყო. მატარებელმა ვერ შეამჩნია ცისტერნები და დაეჯახა საშინელ სიძლიერით. დაიმსხვრა და ნაფოტებად იქცა საბარგო ვაგონი და ძლიერ დაზიანდა მესამე კლასის ვაგონი და 2 ცისტერნა აგრეთვე დაზიანდა 1 დარკლ მიკეტი. მძიმეთ დაშავდენ 3 მგზავრი რომელნიც ტფილისის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს. კეთდება ახალი მოსავლელი ლიანდაგი. მგზავრები 11 საათის დაგვიანებით ჩამოვიდნენ ტფილისში. ბრალი ედება ამ დაჯახებაში სადგურის მორიგეს რომელსაც სამგზავრო მატარებლის გამოსვლის შემდეგ ნება არ ჰქონდა მანევრების წარმოებისა.

# საქართველოს მუზეუმის ფასადის სტილის საკითხი.

## სახელოვნო ცენტრის და სახელოვნო საზოგადოებრ. ორგანიზაციათა წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე.

მარტის 14-ს საქართველოს მუზეუმის ფასადის სტილის განსახილველად გაიხსნა სახელოვნო ცენტრის და სახელოვნო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა კ. მაყაშვილის თავმჯდომარეობით.

**თავმჯდომარე.** სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარე ეხება მუზეუმის ფასადის სტილის საკითხს. სახელოვნო ცენტრი ვერ გადასწყვიტა საბოლოოდ ამ საკითხს. მას შეუძლიან სათანადო აზრის გამოტანა რომ საქართველოს მუზეუმის როგორც თვით შენობა ისე მისი სტილი უნდა სახავდეს ჩვენს კულტურას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიუღებელი უნდა იყოს. სახელოვნო ცენტრის შეხედულებას იზიარებს როგორც მუზეუმის დირექცია ისე მის სააღმშენებლო კომისია, რომელიც მოწოდებულია ახალ შენობის დასამთავრებლად.

**პროფ. გ. ჩუბინაშვილის მოხსენება.**

თავდაპირველად საქართველოს მუზეუმი კავკასიის მუზეუმად აშენდა. მე 66—67 წლებიდან მის პირველ დამაარსებლის რადეს ხელმძღვანელობით მუზეუმა იწყო უმთავრესად საბუნებისმეტყველო მასალათა დაგროვება. მხოლოდ 1910—13 წლ. მოხდა მუზეუმის შინაგანი გარდაქმნა მეცნიერულ ძალების მიხედვით, შესდგა მუზეუმის შტატი 5 განყოფილებით და გაჩაღდა მუზეუმის მუშაობა მეცნიერულ მეთოდის მიხედვით. ამ დროს მუზეუმს სათავეში ედგა მეტად მუყაითი ადამიანი, პოლკ. კაზნაკოვი. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმმა წარმოუდგენელ სისწრაფით იწყო ზრდა. მალე მუზეუმმა კონტაქტი გააბა რუსეთის სამეცნიერო აკადემიასთან. გამოსცა რუსულ და გერმანულ ენებზე ოთხი განყოფილების (გარდა ეთნოგრაფიულის) კატალოგები და 1910—11 წელს შეადგინა და დაამტკიცებინა უმაღლეს მთავრობის მუზეუმის ახალ შენობის პროექტი. როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, მუზეუმმა მას შემდეგ რაც მუზეუმში თვის, მუშაობაში ევროპიულ მეთოდებით სარგებლობას შეუდგა — მასი მუშაობა გაფართოვდა და კოლექციები საგრძნობლად გაიზარდა. ამიტომ მუზეუმთან ახლად გაშენებული შენობაში, რომელიც თავდაპირველად მსახურთა საცხოვრებლად იყო დანიშნული,— მუზეუმის განყოფილებები მოთავსდა. თვით მუზეუმის ახალ შენობის პროექტი შედგენილი იყო სპარსულ გემოვნებაზე.

ადრევე ისმოდა უკმაყოფილება მის შეუფერებლობის შესახებ, მაგრამ პროექტის განხორციელებას მაინც შეუდგნენ.

ეხლა, როდესაც პირობები შეიცვალა და ჩვენ მოგვიწოდეს ხსენებულ შენობის დასამთავრებლად, თავისთავად ცხადია ჩვენ არ შეგვიძლიან დაწყობილი შენობა ისე დავამთავროთ როგორც იყო განზრახული.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს იმ დიად გარდაქმნას ხელოვნების და კერძოდ ხუროთმოძღვრების ისტორიაში, რომელიც მოჰყვა მე-19 საუკუნის დასაწყისის დეკადენსს და აღნიშნა ის ეროვნული გზები ხუროთმოძღვრების განვითარებაში, რომელსაც დაადგნენ ევროპის სახელმწიფონი.

მომხსენებლის აზრით ასეთი გზა უნდა მიიღოს საქართველომაც. ამ კერძო შემთხვევაში კი უნდა შეიცვალოს შენობის გარეგანი სახე. არ არის მისაღები იმ სტილთა (მათ შორის ეგრეთ.წოდებული „Moderne"-ს) რეპროდუქცია, რომელნიც უკვე ისტორიას ჩაბარდნენ. შენობა უნდა გამოხატავდეს თავისუფალ შემოქმედებით ათვისებულ ქართველ ერის სულს. უნდა შეიქმნას ისეთი ფასადი, რომელიც გამოხატავს ქართულ ხუროთმოძღვრებაში აღნიშნულ გზების განვითარებას.

**კ ა მ ა თ ი.**

**გ. ჟურული**, აღნიშნავს, რომ საქართველოს მუზეუმის სააღმშენებლო კომისია, რომლის თავმჯდომარეობა მას აქვს დავალებული, მეტად უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული იმის გამო, რომ მას არ შეუძლიან ერთის მხრივ ანგარიში არ გაუწიოს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს საქართველოს მუზეუმის ფასადის სტილის შეცვლას, რომლის აუცილებლობას თვით კომისიაც გრძნობს, და მეორე ეს მხრივ—იმ გარემოებას, რომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე შეუდგეთ მუშაობას.

ორატორი, სააღმშენებლო კომისიის სახელით, სთხოვს კრებას იქონიოს სათანადო მსჯელობა აღძრულ კითხვის შესახებ, რომ კომისიას შეეძლოს აქ გამოთქმულ აზრზე დაყრდნობა და შემდეგში, მის და მიხედვით, მოქმედება.

**გონდელაში.** აღნიშნავს, რომ იგი, როგორც ხელოვნების ისტორიის მოყვა-

რული ადამიანი, საამინებით უფრთლებმა იმ მოხსენებას, რომელიც წარმოადგინა პროფესორმა ჩუბინაშვილმა პროექტით წარმოდგენილი საქართველოს მუზეუმის შენობა არის უბრალო ყაზარმული „სტილი“ და მისი ფასადი უხეირო ყელსახვევი. საქართველოს არ შეუძლიან რომ თბილისში ასეთი შენობა მოითმინოს.

თბილისში მყოფნი ხელოვანი ხუროთ მოძღვარნი შესძლებენ წარმოადგინონ ისეთი პროექტი, რომელიც იქნება ასახვა ქართული სულის.

**ექ. თაყაიშვილი** აღნიშნავს, რომ ვინაიდან კომისიას აქვს ოფიციალი დავალება, სახელდობრ შენობის მომთავრება, მას არ შეუძლიან ფართედ საკითხის დაყენება, ამიტომ საჭიროა გადავცეთ საკითხის ტეხნიკურ მხარეს ე. ი. შევეხნეთ მას, რა პირობებში და როგორ შეიძლება ფასადის შეცვლა.

**გ. ჩუბინაშვილი** მოახსენებს კრებას რომ ფასადის შესაცვლელად საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი და აღნიშნავს, კრების წინაშე წარმოდგენილ მუზეუმის მოდელზე იმ ცვლილებებს, რომელიც შეიძლება თავისუფლად იქნეს შეტანილი.

**მხატ. შავარდნაძე** მოითხოვს, რომ კონკურსი გამოცხადდეს არა მარტო ფასადის გადასაკეთებლად, არამედ მთელ მუზეუმის შენობის პროექტის შესადგენად. ყოველ შემთხვევაში როდესაც გამოცხადდება კონკურსი, აღნიშნული იყოს, რომ ხუროთმოძღვართ სახეში ჰქონდეს მუზეუმის მთელი შენობა, რომელიც უნდა მოთავსდეს მთელ იმ ადგილზე, სადაც ეხლა მუზეუმის ახალი შენობაა, ქალთა გიმნაზია და სახელმწიფო სტამბა.

ეთხოვოს მთავრობას, საჯარო სამკითხველოს გასახსნელად, ქალთა 1 გიმნაზიის სხვაგან გადატანა.

**ექ. თაყაიშვილი** აღნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიაში აღძრულია ეს საკითხი. ჩვენ მუზეუმები რომ უბრალო საწყობებად არ დარჩეს ჩვენ სახეში გვაქვს თვით ქართული ბანკის შენობაც კი მუზეუმისთვის გამოვიყენოთ, მაგრამ ეს შორეული საკითხია. ჩვენ ეხლა არ შეგვიძლიან ასე შორს წასვლა. ჩვენ უნდა დროებითი ბინა აღმოუჩინოთ მუზეუმს და ვეცადნეთ რომ გადადებულ ხანით (5.600.000) როგორმე გადავხუროთ შენობა.

**ჟურული** აცხადებს რომ მთელ შენობაზე კონკურსის გამოცხადება საქმის შეფერხებას და საამშენებლო მასალების შეძენას დაავიანებს, რაიც უფრო ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს.

**იაკობ ნიკოლაძე** — შეუძლებლად მიაჩნია კონკურსის გამოცხადება მხოლოდ ფასადის შესახებ. მისი აზრით საჭიროა მთელი კვარტალი იქნეს სახეში მიღებული, რადგან მუზეუმს ეხლა რომ სჭირდება და მით უმეტეს ჩვენთვის იქნება ეს აუცილებელი, რადგან უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენებური „ლუვრბაზი“ რომელიც ეხლა თანდათან ჰქრება და ძველებური სასახლეები წარმოდგენილი იყოს მუზეუმში.

**ტერ მიქაელიანი** მოითხოვს რომ კონკურსი გამოცხადდეს არა მარტო ფასადის შესაცვლელად არამედ უსათუოდ მთელს შენობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ საჭირო გახდება ხოლმეური ფასადის შეცვლა და ეს უბრალო ხუროთმოძღვრული ვარჯიშობა გამოვა.

შემდეგ მსჯელობაში მონაწილეობას იღებენ ლეშჩინერი, კალგინი მიქაელიანი, შევარდნიძე, რუბინაშვილი, ნეპრინცევი, ტერ-მიქაელიანი, ნეარინცევი, გორდეევი, თაყაიშვილი და სარკისიანცი.

დასასრულ მიღებულ იქმნა შემდეგი

**რეზოლიუცია**

საქართველოს სახელოვნო ცენტრის მიერ მარტის 14-ს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოწვეულმა კრებამ, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს მუზეუმის საამშენებლო კომისიის წევრები და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები, და რომელნიც მოწვეულნი იყვნენ სპეციალურად იმ საკითხების განსახილველად რომელნიც დაკავშირებულნი არიან საქართველოს მუზეუმის შენობის მომთავრებასთან, განიხილა რა საქართველოს მუზეუმის შენობის საკითხი, და მიიღო რა მხედველობაში, რომ საქართველოს მუზეუმში დაგროვილია უძვირფასესი კოლექციები როგორც მეცნიერების მეტყველების ისე მთელი კულტურული ცხოვრების და რომელიც უნდა გახდეს მომავალში საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო კოლექციების საკრებულოდ — დაადგინა:

1. ვინაიდან მუზეუმში დაგროვილია ძვირფასი მასალა და მუზეუმში მეცნიერულ საფუძვლებზე დაწყებული მუშაობის გამო, მოსალოდნელია კვლავ ამ მასალის შემატება, აუცილებლად ჩაითვალოს, რომ მუზეუმის ახალ შენობის განკარგულებაში გადაეცეს მთელი კვარტალი, რომელიც გადის ლორის-მელიქის ქუჩაზე.

2. ვინაიდან პროექტით, სპარსულ სტილზე განზრახული შენობა არ შეეფერება დროსა და ერის ღირსებას, შეიცვალოს იგი და მის მაგიერ მოთხოვნილ იქმნეს თავისუფალი მხატვრული მოქმედება ქართულ ეროვნულ ხუროთმოძღვრებაში ასახულ გზების მიხედვით.

3. ვინაიდან აუცილებლად ცნობილია შენობის მთელი სახის შეცვლა მეორე მუხლის თანახმად—გამოცხადდეს მოკლე ხანში საქართველოს მუზეუმის შენობის (რომელიც მდებარეობს მთელს კვარტალზე, და რომელშიც შევა რუსთაველის პროსპექტზე გაშენებული მუზეუმის შენობა შესწორებით) პროექტების კონკურსი. ფასადების და დანარჩენ ქუჩაზე გასაშენებელ კორპუსების და ზედმა უნდა წარმოდგენილ იქმნეს ესკიზის სახით.

4. აუცილებლად შეუამდგომლობა, რათა ქალთა გიმნაზია და სახელმწიფო სტამბა გადატანილ იქმნენ მუზეუმის კვარტალის ეხლანდელ შენობებიდან, და მათი სადგომები გადაეცეს მუზეუმს თვის განკარგულებაში საჯარო ბიბლიოთეკის გასახსნელად,

5. დაევალოს სამხატვრო პრეზიდიუმს წარსდგეს სათანადო მოხსენებით ამ დადგენილების შესახებ მთავრობის და დამფუძნებელ კრების წინაშე.

# გორში

## მიწისძვრა ქართლში

(გაგრძელება)

**ხოფლიდან.**

რაც პირველ მოგზაურობის დროს ვნახე მიწის ძვრის პირველ დღეებში და ეხლა ვხედავ ამ მეორე მოგზაურობის დროს—დიდი განსხვავებაა: ხალხი გონს მოსულა, ღებულობს თავის პურის ბილეთებს, წისქვილებს და შესდგომია თავის ატრიალებულ კარმიდამოს მოწესრიგებას. მთავარ დამხმარე კომიტეტისაგან მიღებულ ფიცრებისა და ხე-ტყით აშენებს ფიცრულებს საცხოვრებელ ბინებს საქონლისთვის მოსავლებს და რაც [illegible] თვის ატრიალებულ კარმიდამოს ნანგრევებიდან აშენებულს გადარჩენილ ჩონჩხებს. მთელ სოფელში შეუძლიათ დაზარალებულ სოფლელებს თავის ხარჯით აშენება, დაუხმარებლად, მაგრამ ჯერჯერობით არ აშენებენ ელიან მაინც დახმარების მიღებას. მაგალითად ს. ქარელში, რომ ჩაითვლება დაზარალებულ-ეს სოფელი და თითქმის 50 პროცენტი შენობებისა ამ მდიდრო დასახლებულ სოფლისა სადაც 500 კომლი მოსახლეობა ითვლება—დაქცეულა. მიუხედავად ამისა მათ ისე დახმარება არ ესაჭიროება, ვინაიდან შენობები თითქმის სულ შეძლებულ მოსახლეობისა განსაკუთრებით ებრაელ ვაჭრებისა. ამათ ადვილად შეუძლიან თავიანთ ხარჯით აშენება რადგან საკმაო შენახული პური კომბოსტო და სხვა დარჩენიათ და კაი ფასებში მყიდიან დღესაც სადგურზე. სოფელში გადარჩენილა საავადმყოფო, რომელსაც განაგებს ექიმი ჟორდანია, რომლის მოხსენების თანახმად აქ უკვე საავადმყოფოსთან. 20 საწოლი მიეწყო. სოფლები რუისი ღირბისი სკრა ბრეთი ნაკლებ საჭიროებენ პურით დახმარებას, ს. კარალეთში 350 კომლი მცხოვრებია, დაზარალებულია 10—12 სახლამდე უფრო ძლიერ სკოლის შენობა. ამათაც პური არ ესაჭიროებათ. ს. დიდ გარეჯვარში კი პური არა აქვთ. 60 შენობიდან 10 შენობამდე დაზარალებულა აგრეთვე აკლდება ჭურნახული ს. თირტიშის მცხოვრებთ. აქ 120 კომლამდეა მოსახლეობა და თითქმის ნახევარი სოფელი დაზარალებულა. დაზარალებულ სოფლელთ საერთოდ ესაჭიროებათ ერთნაირი მოკლე გარანტია, რომ უთხრათ ხალხს მიჰყევით ააშენეთ შენობები და მაშინ ისინიც ყველგან მიჰყვებიან აღნიშნებლობით საქმეს.

**ზრუნვა დაზარალებულებზე.**

უბედურების პირველ დღეებში მზრუნველობას დაზარალებულთ უწევდ სასწრაფო დამხმარე კომიტეტი, რომელშიაც შედიოდნენ ექიმები მ. კობიძე დ. ბუციშვილი და ი. ციციშვილი 23 თებერვლიდან კი მთელი მზრუნველობა გადაეცა ადგილობრივ მედიკოს სანიტარულ განყოფილებას, რომელიც მოთავსებულია საგანგებო მატარებელში გორის სადგურზე. ამ განყოფილების შტატი პირველ დღეებში შესდგებოდა 61 სულისაგან. ეხლა კი 35 სული: 8 ექიმი, 6 ექიმის თანაშემწენი, 4 მოწყალების და, 21 სანიტარი. განყოფილების უფროსად დანიშნულია ექიმი კობერიძე, მის თანაშემწედ მაზრის ექიმი მირზაშვილი, მდივნად ი. კვანძეველიშვილი და აფთიაქის გამგედ თ. ბოჭორიშვილი. წამლებს დებულობენ თბილისიდან მომარაგების კომიტეტის და სხვების შტაბიდან. ეს განყოფილება დიდ ენერგიას და ინიციატივას იჩენს და ღირსეულად ასრულებს თვის მოვალეობას.

**მთავრობის რწმუნებული,**

მთავრობის რწმუნებულად დანიშნულია ექიმი ბ. ზანდუკელი, რომელსაც თვის ჯადოსნური ენერგიით ამ მოკლე ხანში ბრწყინვალედ შეუსრულებია თავისი მისია. მართლადაც და მთელ 24 საათი მას ვერ ნახავთ მოცლილს. იგი მთავარ არტერიად ითვლება ამ საშინელების დროს დახმარების აღმოჩენის საქმეში და აქი ყველასაც სოფლად და ქალაქად აკერია მისი სახელი. იყო რამდენიმე შემთხვევა როცა ჩემი ყურით გავიგე სოფლელების თხოვნა „არა შენი ჭირიმე სხვას ნუ გადაგვცემ შენ თითონ დაგვირიგე რასაც მთავრობა გვიმწყალობებს“... მის მარცხენა ხელად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ექიმი ლომაური—არა ნაკლებ ენერგიის ადამიანი და გამნაწილებელი მთელი დახმარებისა სანიტარი ქალი—სტუდენტი ჯაიანისა, რომელიც თვისი თავდადებული შრომით და მომხიბლავ გულკეთილობით განაწამებ ქართლელის გულს მყის აჯადოებს და მომდუღარ ცრემლს უშრობს...

**ხეტყე.**

დაზარალებულ სოფლელებისთვის მიღებულია ჯერ ჯერობით 30 ვაგონი ხე ტყე რომელიც უკვე და ურიგდებათ სოფლელებს, სადაც უკვე შენდება ფარდულები მოსახლეობისათვის.

**პური და ჩაი შაქარი.**

გამომცხვარი პური მთავრობისაგან მიდიოდა პირველ დღეებში 600 700 ფუთამდე უკანასკნელ დღეებში კი 300 ფუთამდე და ეს რაციონიც 10 მარტიდან აღარ იყო საჭირო რადგან გზებზე მოსულ ხალხმა იპოვა თავის პურის ბილეთები. ჩაი შაქარიც საკმაოდ დაურიგდა ხალხს.

**ამერიკელების საჩუქრები.**

ამერიკის მისიამ გამოუგზავნა 3 ვაგონი ნახმარი სხვა და სხვა ნივთები, სულ 290 ბოხჩა, თითო ბოხჩაში 250 ნაჭერი იყო შეკრული ქალისა, კაცისა და ბავშვის ზოგიერთი ნაჭერი ძვირფას ღირებულობას წარმოადგენდა სათბილობლს. ან ფეხსაცმლის და ტანთ საცვალი [illegible] ბოხჩაში [illegible] ისეთი წვრილმანიც კი როგორც გალითად ქალის შლიაპის ფთა, კორსეტი და სხვა ამგვარი ფუფუნების ნივთი. ყველა ეს ნივთები სოფლად დაარიგეს სტუდენტთა სანიტარო რაზმმა ექიმ ლომაურის მეთაურობით საგანგებო სიებით და სოფლელთა ყრილობებზე შემდგარ ოქმებით.

**მოსწავლეთა რაზმი.**

თბილისიდან ჩასული ახალგაზრდა მოსწავლეთა რაზმი დიდ შველას უწევს საერთო მუშაობის დროს მილიციელთა, გვარდიელთა და ჯარისკაცთა ერთად ისინი ყარაულობენ ლტოლვილთა ქონებას და წესიერებას იცავენ.

**სამხედრო წესები.**

მთავრობის რწმუნებულის ბ-ნ ზანდუკელის განკარგულებით გორში გამოცხადებულია სამხედრო წესები საღამოს 7 საათიდან არავის უშვებენ უბარათოდ. ქალაქის მდგომარეობის შესახებ ყოველ დილით საგანგებო მოხსენებას უდგენს ქალაქის კომენდანტი ბ. ზანდუკელს.

**კონტროლი.**

მთავრობის რწმუნებულის ბ. ზანდუკელის კონტროლ ქვეშ დახმარება აღმოუჩინათ სათბილობლით პურით ჩაი შაქრით ხე-ტყით ქ. გორს სოფლებს: ხერას, ხიდისთავს, პატარა და დიდ ბეთლემს, სკრას, მღვევს, სასირეთს, დოესს, ქვახარელს, ყარაგაჯს, ბარნაბიანთ კარს, უფლისციხეს, ხოვლეს, რუისს ბერბუკს რეხას სვენეთს თორტიზას შავშვეთს, ახალ სოფელს ზერტს დულეს კარალეთს ნაწრეთს კვარხეთს ტინის ხიდს და ოთარშენს ყველა ამ სოფლებში საგანგებო რაზმებმა დაარიგეს დახმარების აღმოსაჩენად.

**დ. პაპლიაშვილი.**

(გაგრძელება იქნება).

რედაქტორი
«სარედაქციო კოლეგია»
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

ვეძებ
2—3 ოთახს
I, II, III ან IV უბანში
ფასს არ დავიშურებ
მაცნობეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში გრ. მაჭავარიანს.

# ქართული თეატრი

(დასასრული).

იმავე მემუარებში ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „ბევრი მეთაური რომ ჰყავდა ერთმანეთის ჯიბრით გააფუჭეს საქმე“.

გიორგი დეკანოზიშვილი, დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი, „ცნობის ფურცელში“-ში სწერდა 1910 წელს: „ჩვენ ბევრნი ვართ და თეატრის საქმეს ვერ გაუძღვებით და არც თუ ჩვენი საქმეა ანტრეპრიზაო“.

ბევრი მეთაურები რომ არიან თეატრში, ინტრიგებისათვის ნიადაგი უფრო ფართეა. მართალია, ქვეყნიერებაზე არ არის ისეთი თეატრი, სადაც ცოტა თუ ბევრად ინტრიგები არ იყოს, მაგრამ ჩვენში მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ და განსაკუთრებული ხასიათი აქვთ. ჩვენში ინტრიგას მერკანტიული ხასიათი აქვს. არ ეტყობა კულტურული შეჯიბრება. ყველა ეს ხდება მხოლოდ იმიტომ რომ მოუმზადებლები ვართ, კულტურა გვაკლია, ერთმანეთი არა გვწამს, ერთმანეთის პატივისცემა არა გვაქვს.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში ყოველთვის ირჩევდნენ ჩვენ პატივცემულ მოღვაწეთ, ისე როგორც დღეს; და ეს პატივცემულნი მოღვაწენი მომზადებულნი თავიანთ დარგში სრულიად მოუმზადებლები იყვნენ და არიან თეატრისათვის და რა თქმა უნდა საქმეს ვერ წაიყვანდნენ. ბევრი მეთაური თეატრში ეს ისევე სახიფათოა, როგორც გემზე რამდენიმე კაპიტანი, როგორც ორკესტრში რამდენიმე ლოტბარი.

თუმანიშვილი სწერს ზემო მოყვანილ წიგნაკში:

„თბილისის მოამბეში იყო ნათქვამი: დ. ყიფიანმა ბევრი სარგებლობა მოუტანა ქართულ თეატრს. მე-კი ვიცი ერთი მართლაც დიდი სარგებლობა, რომელიც მოუტანა დ. ყიფიანმა ქართულ თეატრს: თავი დაანება თეატრალურ ამხანაგობას და ამით წაართვა ლონისძიება თვის შვილს კ. ყიფიანს და თავის ნათესავებს მ. ყიფიანს და კ. კორინთელს ისე დაუდევნელად ემსახურათ ტრუპაში, როგორც აქამდინ მსახურებდნენ. იმ იმედით, რომ ჩვენი დამიტრი ივანიჩი ამხანაგობის თავმჯდომარეა და ვინ რას გაგვიბედავსო. ამით გათამამებულები ეს სამი პირი ყოველთვის თავს იჩენდნენ როლის უცოდინარობით“.

როცა ვკითხულობთ აკაკის მემუარებს დაწერილს 1910 წელს, მის წერილებს დაწერილს 1893 წელს, გიორგი თუმანიშვილის წიგნაკს არ შეგვიძლიან არ გავოცდეთ იმ გარემოებით, რომ დღესაც სწორედ ის ამბავია, რაც იყო მაშინ, ესეც მაჩვენებელია იმისი, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ქართულ თეატრს ბევრი გაუმჯობესობა არ დაეტყო და პირიქით უფრო მეტმა უკულტურო ხალხმა მოიყარა თავი სცენაზე და ვისაც კი სადმე რუსეთში თეატრისათვის გვერდით გაუვლია, ან სტატისტათ გამოსულა—ჩვენში რეჟისორობს, ან პრემიერობს, ან რეცენზენტობს. აი ეს არის ჩვენი უბედურება.

იმ ერთი-ორიოდე ახალგაზრდები, რომელნიც წრფელის გულით მიდიან ჩვენ თეატრში სამუშაოდ, ჩაითრევს გადამდები სენი უდისციპლინოებისა და ხშირად თავიანთ მასწავლებლებს გადააჭარბებენ ხოლმე. ერთი ამისთანა მაგალითთაგანი იყო განსვენებულ იმნაძის დაღუპვა და კიდევ მრავალი სხვა.

თუ ქართულ სცენაზე ოდესმე გვინახავს კარგი წარმოდგენები, კარგი სეზონი შედარებით რა თქმა უნდა, ეს მაშინ იყო, როცა სათავეში ერთი კაცი იდგა, ანტრეპრიზა ჰქონდა აღებული ან მესხიშვილს, ან კოტე მესხს, ან კიდევ სხვა ვისმეს. ჩვენ გვგონია, რომ ამას აღარ უნდა მეტი მტკიცება. ყველასათვის ნათელია, რომ თეატრში უნდა იყოს ერთი გამგე, ერთი პატრონი, რომელსაც ემორჩილება ყველა და ეს ერთი უნდა იყოს საქმის მცოდნე, სპეციალისტი და არა მხოლოდ საზოგადო მოღვაწე. შეიძლება ადამიანი ძალიან კარგი პოლიტიკოსი იყოს, კარგი ექიმი, კარგი დრამატურგი, მაგრამ მაინც თეატრის საქმე არ იცოდეს.

ყველგან შეიძლება იყოს დემოკრატიული კოლეგიალური წესწყობილება, მხოლოდ თეატრში უნდა იყოს უსათუოდ მონარქიული წესწყობილება; ვერავითარი კავშირები, საზოგადოებები და კოლეგიები თეატრალურ საქმეს სათანადოთ ვერ წაიყვანენ და ყოველთვის ისეთი ამბავი იქნება, რაც იყო და რაც დღეს არის.

დრამატიულ სტუდია... ძალიან მეძნელება ამაზედ ლაპარაკი რადგან ძალა-უნებურად ჩემს თავზედ უნდა ვილაპარაკო. ვეცდები ის, რაც სათქმელი მაქვს სულ ორიოდე სიტყვით გამოვთქვა და თუ ამას ვერ მივაღწიე, თუ კალამი ვერ შევიკავე ამისათვის მკითხველის წინაშე წინათვე ბოდიშს ვიხდი.

როდესაც საზღვარ გარეთიდან დავბრუნდი მე მხოლოდ ისა მქონდა აზრად, რომ ეს კაცთა ძლიერის ხანა გამეტარებინა ჩემს სამშობლო, ტფილისში, კახეთში და შემდეგ ისევ პარიზში წავსულიყავი, რადგან იმედი არა მქონდა ჩემი ხელობა—რეჟისორობა—გამომეყენებინა ქართულ თეატრში არსებულ პირობებში. ეს პირობები ძალიან კარგათ ვიცოდი, ვინაიდან შორიდანვე დიდი ხანია თვალ ყურს ვადევნებდი ჩვენს თეატრს, ამიტომ არ მინდოდა აქ მუშაობა, მაგრამ შემთხვევამ სულ სხვანაირად წაიყვანა საქმე და 1918 წელს კაპიტალისტთა ჯგუფმა და დრამატიულმა საზოგადოებამ მიმიწვია სამუშაოდ. დავთანხმდი, მხოლოდ იმ პირობით, რომ მე სრული თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიქნებოდი ჩემს მოქმედებაში და დავაარსებდით სტუდიას სადაც მხოლოდ ახალგაზრდებს მივიღებდით. თანხა ამისათვის ამ ჯგუფს უნდა გამოეღო და მე კი მემუშავნა უჯამაგიროდ იქამდის, სანამ ჩემივე დადებულ ვადის შემდეგ ორი წელიწადი არ გაიმართლებოდა პირველი წარმოდგენა. ამ „კაპიტალისტებმა“ პირობა არ შეასრულეს და გადაწყვეტილ თანხის მაგიერ გამოიღეს მხოლოდ ერთი მეათედი, რა თქმა უნდა საქმე გაძნელდა და ჩვენ იძულებული ვიყავით წარმოდგენები გვემართა. დაწვრილებით სტუდიის მოქმედებაზედ ლაპარაკი ჩემი საქმე არ არის, ამას თეატრის ისტორია თავის დროზე აღნიშნავს და განსჯის.

ჩემი მიზანი იყო დამეყენებინა თეატრი ისეთ ნიადაგზე, როგორც მოყვანილია ევროპაში, შემექმნა ახალგაზრდა ძალები, რომელნიც თუ ძველესავით ნიჭიერები არ იქნებოდნენ, ის უპირატესობა მაინც ექნებოდათ, რომ შეითვისებდნენ ერთგვარ სკოლას.

უმეცრებამ ჩვენ მოგვნათლეს „ძიების თეატრად“. დამპალ რუსეთის ფუტურიზმით გატაცებულნი ყველგან იძახოდნენ, რომ სტუდიამ „ახალი“ არაფერი შექმნაო. ბატონმა ახმეტელმა ერთ კრებაზე განაცხადა: მე ამ სტუდიაში ახალი ვერა ვნახე, იქ მხოლოდ წარმოდგენები უფრო დამუშავებულიაო“. (ეს ბატონ ახმეტელის ტერმინია),

ბ-ნმა ა. ფაღავამ თავის მოხსენებაში სთქვა: სტუდიის წარმოდგენები „კორექტიულია“ და სხვა არაფერიო.

ეს ორივე მართალს ამბობენ და მიზანიც ჯერ-ჯერობით ის იყო, რომ ჩვენი წარმოდგენები ყოფილიყო „კორექტიული“ და „დამუშავებული“, რომ ყველას სცოდნოდა თავისი როლი და მიზანსცენები და ეს როლები შესრულებული ყოფილიყო, ინტონაციის მხრივ, შეგნებით სწორედ და არა ისე ყალბად, როგორც აქამდის; ყოფილიყო ანსამბლი, ისე როგორც თანამედროვე თეატრშია და არა ისე როგორც წინად იყო: ერთი რომელიმე როლი არ ყოფილიყო გამოჩენილი. ჩვენ გვინდოდა დაგვემყარებინა დისციპლინა ჩვენს საქმეში, დისციპლინა მკაცრი და არა ისე როგორც აქამდის გამეფებულია ქართულ თეატრში.

აი ჯერ-ჯერობით გვინდოდა ამისათვის მიგვეღწია, და განა მეტის გაკეთება შეიძლებოდა ერთ წელიწადში? ჩვენ, ქართველები, მოუთმენელი ხალხნი ვართ, ყველაფერი უცებ გვინდა: მეცნიერება, სიმდიდრე, თეატრი და სხვა. ერთ წელიწადში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო, ისიც ამისთანა პირობებში, რანაირი პირობებშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით: არა გვქონდა ერთი პატარა ოთახიც კი და სამალლოთ ხან ვინ შეგვიკედლებდა და ხან ვინ. თითქმის ძალად, ჩვენთვის ყოველისფერი გაძნელდა, ყოველმხრიდან თავს გვესხმოდნენ, ყოველმხრიდან ინტრიგებს გვწევდნენ, სცდილობდნენ საქმე ჩაეფუშათ, რადგან ნათლად გრძნობდა მტერიც კი, რომ სტუდიამ ქართულ დრამატიულ ხელოვნებაში შეიტანა ახალი სხივი, რომ სტუდიაში არ იყო ლოთობა, გარყვნილება, რომ სტუდიელებმა იცოდნენ როლები და არაფრით წააგავდნენ „ძველებს“. ეს რა თქმა უნდა არ მოსწონდათ, მაგრამ სტუდია მაინც უმაგრდებოდა, იტანდა ყოველსავე გაჭირვებას და მუშაობდა შეგნებულად, ახალგაზრდული ალტაცებით.

გარედან ინტრიგებმა ვერაფერი დაგვაკლეს. თვითეული გამოსვლა „რეცენზენტებისა“ ჩვენ წინააღმდეგ—გვმატებდა მხოლოდ ახალ ენერგიას, რადგან ჩვენ ძალიან კარგათ ვიცოდით, ვინ იყვნენ ეს რეცენზენტები, რა მიზნით და ვისი შთაგონებით სწერდნენ.

ფული რომ აღარ გვქონდა—კოოპერატივი ამოვაჩინეთ, და როდესაც კოოპერატივთან მოლაპარაკება დავიწყეთ, დასტა-დასტა ხელმოუწერელი წერილები მისდიოდა გამგეობას ჩვენს საწინააღმდეგოთ. მაგრამ ამანაც ვერა დაგვაკლო რა და მივიღეთ სუბსიდია იმ პირობით, რომ სათავეში ყოფილიყო კოლლეგია. მე ძალიან წინააღმდეგი ვიყავი ამისა და ბოლოს დავთანხმდი მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე არ ჩაშლილიყო.

ორი თვის მუშაობის შემდეგ ციხე შიგნიდან გატყდა ზოგიერთ პირთა წყალობით. ინტრიგები დაიწყო შიგნით. ამ მოვლენამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ჩვენში მუშაობა სერიოზულად ჯერ ჯერობით არ შეიძლება. ჩვენი ნაკლი არის შური და ეს შური იბადება უფრო უკულტურო პირთა შორის, რომელთაც თითონ საქმის გაკეთების უნარი არა აქვთ და სცდილობენ სხვის გაკეთებული საქმე ჩაშალონ და გააფუჭონ. არის ჩვენში ისეთი ჯურის ხალხი, ეშმაკობით სავსე, რომელნიც პირში გიღიმიან და პირს-უკან სამარეს გითხრიან. ამისთანა ხალხს აქვთ დღეს გასავალი.

ასე თუ ისე საქმე ჩაიშალა და ის სტუდია, რომელიც მე დავაარსე დღეს აღარ არსებობს, ანუ სწორედ არსებობს უჩემოდ.

1906 წელს დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სტუდია, მაგრამ ამ სტუდიამ ვერაფერი ნაყოფი მოიტანა, ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ის იყო, რო სათავეში ედგა კოლეგია და ამასთანავე მასწავლებლები არა ჰყავდათ.

1918 წლის დაარსებული სტუდიამ კი გამართა რამოდენიმე „დამუშავებული“ წარმოდგენა. ამ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა ძალები ორი თუ სამის გარდა. თუ სტუდიამ წარმოდგენებამდის მიაღწია, ეს მხოლოდ იმიტომ, რო სათავეში ერთი კაცი ედგა და არა კოლეგია. ჩაუდგა თუ არა კოლეგია—საქმეც დაიშალა.

აკი ვამბობ ბევრი რისამე თქმა შეიძლება სტუდიის შესახებ, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის. ბევრი რამ შეიძლება ითქვას აგრეთვე რეპერტუარზე და დრამატურგებზე, ამას ჩვენ დაუბრუნდებით და ამ მოკლე ხანში პერიოდულად გამოვთქვამთ ჩვენს აზრს.

ეხლა შესდგა ახალი გამგეობა დრამატიული საზოგადოებისა, ე. ი. ისტორია იწყება თავიდან; ეხლაც როგორც მაშინ შეადგენენ დასს, აურევენ სტუდიელებს ძველებში (დასი უსტუდიოთ ვერ შესდგება, ეს ყველასათვის ცხადია, იმათთვისაც კი ვინც ორი წლის განმავლობაში ჰგმობდა ამ სტუდიას) ძველები იქონიებენ თავიანთ ცუდ გავლენას, დაახშობენ მათ ნიჭს, შეაჩვევენ უდისციპლინობას და ქართულ თეატრს არავითარი პროგრესი არ ექნება. „le gros publique“ კმაყოფილი იქნება იმ წარმოდგენებისა, რასაც ეხლა აჩვენებენ და რითაც შემდეგში გაუმასპინძლდებიან. რამდენიმე ხნის შემდეგ ახალი გამგეობაც მივა იმ დასკვნამდე, რო ვერავითარი კოლეგია თეატრალურ საქმეს ვერ აწარმოებს და ყველაფერი ხელახლად დასაწყისი გახდება.

ძალიან კმაყოფილნი ვიქნებით, თუ ეს ჩვენი სიტყვები არ გამართლდება და ახალი გამგეობა შესძლებს სამშობლო თეატრის აყვავებას.

**გ. ჯაბადარი.**

სტამბა სახელმწიფო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.